1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცეკვავე ქოალები

3
1967

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოამბე

№ 3 (41)

10.563

19 თბილისი 67

ბ. ბერძენიშვილის სახ. სახ. ბიბლიოთეკა
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმმა ფართო გზა გაუხსნა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება, რომლის განმასხვავებელი ნიშნებია ღრმა ხალხურობა და კომუნისტური პარტიულობა, რევოლუციური ჰუმანიზმი და მოქალაქეობრიობა, სიმართლე და სინამდვილის ღრმად შესწავლა, შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი. ჩვენი ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მაღალი იდეური მომთხოვნელობა, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის წინსვლას, ნოვატორული სულისკვეთება და გაგედული შემოქმედებითი ძიება. საბჭოთა ხელოვნება ასახავს საბჭოთა ხალხის ისტორიულ გზას, საგმირო საქმეებსა და ბრძოლას კომუნიზმის აშენებისათვის. ჩამოყალიბდა ახალი ტიპის ხელოვანი, რომელსაც თავის მოქალაქეობრივ მოწოდებად მიაჩნია ახალი სამყაროს მშენებლობაში მონაწილეობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებიდან — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“.

რედაქტორი — ერემია ქარელიშვილი

საredakcio kolegia: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი, ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, დ. მჭედლიძე, ბ. ჟღენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების II პლენუმი

1967 წლის 2 ოქტომბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის VI მოწვევის II პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: „რესპუბლიკის თეატრების მზადება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის“ და „1967 წლის ბალანსის დამტკიცება“.

პლენუმი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **დოდო ანთაძემ**.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **აკაკი დვალიშვილი**, ხოლო მეორე საკითხზე—თეატრმცოდნე **ვასილ კიკნაძე**.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა, კომპოზიტორმა **არჩილ ჩიმაკაძემ**, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **არჩილ ჩხარტიშვილმა**, გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **სერგო ფალიძემ**, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ზოთა მესხმა**, დრამატურგმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ვალერიან კანდელაკმა**, ლ. მეხუბიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრკ სახალხო არტისტმა **აკაკი ვასაძემ**, მეხეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **მიხეილ მეძმარიაშვილმა**, შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა **ალექსანდრე ეგუტია** და აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ოთარ ალექსიშვილმა**.

პლენუმმა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად აირჩია თეატრალური საზოგადოების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების გამგე **ერევანი კაბელიშვილი**, ხოლო კოპტაციით გამგეობის შემადგენლობაში შეიყვანა ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორი **ნოდარ კანდელაკი**.

მზადება დიდი ზეიმისათვის

აკაკი დვალიშვილი

საბჭოთა ხალხი დიდი ზეიმით ხვდება ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს. ამ ფაქტის მნიშვნელობა სცილდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. იგი იქცევა დიდ საერთაშორისო, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად. რევოლუციამ ძირეულად შეცვალა ჩვენი ხალხების სულიერი და მატერიალური ცხოვრება, დასაბამი მისცა ახალი კულტურის წარმოქმნასა და განვითარებას.

ხალხის სულიერი ენერგიის ამ დიდ შემოქმედებით აღზავებაში გამორჩეული ადგილი დაიჭირა თეატრმა. ქართულმა თეატრმა სწორედ ახალ საქართველოში ჰპოვა მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის გამოვლინების შესაძლებლობა. ახალი ქართული თეატრი ნამდვილი პირმშოა საბჭოთა საქართველოსი.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, როცა ამ საიუბილეო დღეებში განსაკუთრებულ მოთხოვნებს ვუყენებთ თეატრს. ეს არის გარკვეული პასუხი და ანგარიში იმისა თუ როგორ იღწვოდა ქართული თეატრი ნახევარი საუკუნის მანძილზე, რა გზები გამოიარა და როგორ გაამართლა თავისი ხალხისა და ქვეყნის იმედი. თეატრის იუბილე მარტო ჩვენს თანამედროვეებს როდი ეკუთვნით, მარტო ისინი, როდი ზეიმობენ, ვინც დღეს უძღვის ქართულ თეატრს, ეს არის 50 წლის მანძილზე ყველა თაობის მიერ გაწეული შრომისა და ამაგის მოსაგონარი, მათი დიდი შემოქმედების გზის გაგრძელებისა და დაცვის მაუწყებელი ზეიმი.

ამდენად გასაგებია, როცა საიუბილეო წელს თანამედროვე ქართული თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების, მისი ავ-კარგიანობის შეფასებისას არ ვივიწყებთ კ. მარჯანიშვილისა და ა. ახმეტელის სახელებს, რომლებმაც ყველაზე უკეთ დაიცვეს და განამტკიცეს ქართული თეატრალური კულტურის ავტორიტეტი, შექმნეს ჭეშმარიტად ახალი, საბჭოთა ქვეყნის შესაფერისი ხელოვნება, გვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენეს იდეური სიმწიფის, მაღალი გემოვნებისა და მოქალაქეობრივი შემართების მაგალითები. თეატრი მათთვის ნამდვილი ტრიბუნა იყო. ეს იყო აღზრდის კერა, ახალი ადამიანის ცხოვრების, მისი ემოციური და ინტელექტუალური სამყაროს გამომხატველი სანახაობა.

დიდი ტრადიციის მემკვიდრეა თანამედროვე ქართული თეატრი. ჩვენს ხალხს შეუძლია იამაყოს ბრწყინვალე რეჟისორებით, მსახიობებითა და თეატრალური მხატვრებით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ თეატრს. რამდენადაც დიდია შესაძლებლობა, იმდენად მეტის იმედითა და მომთხოვნელობით უნდა ვიხილავდეთ თანამედროვე თეატრალურ ცხოვრებას. სწორედ თეატრის საუბილეო წელმა, — როგორც ყველაზე ინტენსიურმა პერიოდმა, — უნდა გვიჩვენოს თავისი შესაძლებლობის ყველაზე საუკეთესო მხარეები. ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ უკანასკნელი წლების შემოქმედებას უსათუოდ ბევრ საინტერესოსა და ჩამაფიქრებელს დავინახავთ. ჩვენთვის გასაგები გახდება თეატრალური მოვლენების ნათელი და მანკიერი მხარეები.

საქართველოს თეატრებმა იუბილესათვის მზადება ადრე დაიწყეს. კულტურის სამინისტრომ თავის კოლეგიაზე, არაერთხელ განიხილა სამზადისის მიმდინარეობა, შეამოწმა ყოველი თეატრის რეპერტუარი და დასახა შესაბამისი ღონისძიებანი.

რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარში ძირითადი ადგილი დაიკავა თანამედროვეობის ამსახველმა და ისტორიულ-რევოლუციურმა პიესებმა. უფრო მრავალფეროვანი გახდა თეატრების რეპერტუარი. სცენაზე გამოჩნდა რუსული და სხვა მოძმე ხალხების დრამატურგთა საუკეთესო პიესები. დაიწერა და დაიდგა ახალი ორიგინალური ნაწარმოებები. საქართველოს კულტურის სამინისტრომ ოცდაათამდე მწერალს დაუდო ხელშეკრულება, მათ შორის, პ. კაკაბაძეს, მ. მრევლიშვილს, ს. კლდიაშვილს, ვ. კანდელაკს, გ. ნახუცრიშვილს, მ. ელიოზიშვილს, ო. იოსელიანს, ა. გეწაძეს, რ. თაბუკაშვილს, რ. ჭეიშვილს, ა. სამსონიას, ო. მამფორიას, ა. აფშილავას, ა. აღლაძეს, გ. ქელბაქიანს, დ. თაქთაქიშვილს და სხვებს; ბევრი მათგანის პიესა უკვე დაიდგა ჩვენი თეატრების სცენაზე. ბოლო წლების ქართულ პროზაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი გამოჩნდა. სამწუხაროდ, ამგვარი მდგომარეობა არა გვაქვს დრამატურგიაში. თეატრს კი, დრამატურგიის გარეშე არ შეუძლია წარსვლა, არ შეუძლია არსებობა. ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი მწერალი მუშაობდეს დრამატურგიის ჟანრში. საჭიროა დავეხმაროთ, მეტი სიყვარულითა და პატივისცემით მოვეკიდოთ იმ დრამატურგებს, რომლებიც ინტენსიურად მუშაობენ თანამედროვეობის თემებზე. წავახალისოთ ისინი, შევუქმნათ ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფერო.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ძირითადი საიუბილეო რეპერტუარი ჯერ მზადების პროცესშია. ჯერჯერობით კი თეატრმა ამ თარიღთან დაკავშირებით საგანგებოდ აღადგინა საბჭოთა მუსიკის კლასიკოსის, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორის ს. პროკოფიევის რევოლუციურ თემაზე დაწერილი ოპერა „სემიონ კოტკო". მოგეხსენებათ, რომ ეს სპექტაკლი, რომელიც პირველად ჩვენს სცენაზე 1964 წელს დაიდგა და მოსკოვშიც, კრემლის ყრილობათა სასახლეშიც იქნა ნაჩვენები. რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში აღიარებულია ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის დიდ და პრინციპულ გამარჯვებად, ამასთან თანამედროვე საოპერო სპექტაკლის თვალსაჩინო ნიმუშად.

საიუბილეო მზადების პროცესში თეატრმა დადგა ა. შავერზაშვილის ახალი ოპერა „ახალ ნაპირთან", რომელიც ლეო ქიარელის ცნობილი ნოველის მიხედვითაა დაწერილი. უნდა ითქვას, რომ ეს ოპერა და სპექტაკლი ვერ კანონიზებლა ქართული საბჭოთა საოპერო ხელოვნების პრინციპულ გამარჯვებათა რიგში, მაგრამ თავისთავად მხარდასაჭერია ახალი ქართული თანამედროვე ოპერის დადგმის ფაქტი.

ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრმა გასული ორი სეზონის მანძილზე უკვე რამდენიმე სპექტაკლი მიუძღვნა საიუბილეო თარიღს. დაიდგა ა. კერესელიძის ოპერეტა — „ალუბლები ჰყვავიან" (ლიბრეტოს ავტორია ს. რაზმაძე). ოპერეტა ეხმაურება ჩვენი ცხოვრების აქტუალურ პრობლემას — ახალგაზრდობის აღზრდას, შრომისა და მორალის თემას. დაიდგა აგრეთვე გ. ცაბაძის ოპერეტა „მიყვარს ჩემი ქუჩა" (ლიბრეტო ლ. ჭუბაბრიასი). ავტორებმა მიზნად დაისახეს აესახათ თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრება, მის მიერ ახლის ძიება და ცხოვრებაში დაკანონებული, მოძველებული

ნორმებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. შეიძლება დავას იწვევდეს და არასაკმაოდ დამაჯერებლად მიგიჩნიოთ ის პირობითი ფორმა, განსაკუთრებით ლიტერატურული, რომელიც ოპერეტას უდევს საფუძვლად. მაგრამ მოსაწონია სპექტაკლის, თვით ნაწარმოების (მუსიკისა და ლიბრეტოს) განხორციელების ხარისხი. ის სცენური სიახლე, რასაც იშვიათად ვხვდებით ამ თეატრში.

საიუბილეო რუბრიკით წავიდა გასული სეზონის უკანასკნელი პრემიერა — გ. ცაბაძის ახალი ოპერეტა „ჩემი შეშლილი ძმა" (შატუნოვსკის ლიბრეტო), რომელიც ასახავს დღევანდელი კაპიტალისტური სამყაროს მტკივნეულ სოციალურ პრობლემებს. ამ სპექტაკლმაც მნიშვნელოვანი შემოქმედებითი სიახლე მოუტანა თეატრს სცენური მოქმედებისა და პლასტიკური გადაწყვეტის მხრივ.

რუსთაველის თეატრმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს უძღვნა ვ. დარასელის „კიკვიძე", ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე", ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა".

სამივე პიესა ხალხის ისტორიისა და თანამედროვეობის სხვადასხვა პერიოდს ასახავს. სხვადასხვაგვარია სპექტაკლებში წარმოსახული სინამდვილე, ადამიანთა ურთიერთობის ფორმები და ნაწარმოებთა იდეური სიმახვილე. თეატრი შეეცადა სხვადასხვა კუთხით დაენახა საბჭოთა საქართველოს, მისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპები, იქნება ეს სამოქალაქო ომი თუ საკოლმეურნეო ცხოვრება, ახალგაზრდობის მისწრაფებები თუ მუშათა კლასის შრომა.

მარჯანიშვილის თეატრმა, რომელსაც ქართული პიესების დადგმის კარგი ტრადიცია აქვს („კოლხეთის ცისკარი", „მე ვხედავ მზეს", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"), დადგა გ. ხუხაშვილის „გზები" და „მთაწმინდის მთვარე", რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი", ა. ჩხაიძის „მომავალ შეხვედრამდე".

განსაკუთრებით ინტენსიურად იმუშავეს მოზარდმაყურებელთა თეატრებმა. ასე მაგალითად, წარმატება ხვდა რ. მამულაშვილის პიესას „ძია ელიოზი", ქართულ მოზარდმაყურებელთა თეატრში დაიდგა აგრეთვე ა. ჩხაიძის „როცა მთავრდება ბავშვობა". რუსულ მოზარდმაყურებელთა თეატრმა დადგა კარპენკოს „რესპუბლიკის მოქალაქე" და „წითელი ეშმაკუნები."

სომხურმა თეატრმა დადგა კაუგვერის „სასჯელის უმაღლესი ზომა", რაც შეეხება გრიბოედოვის თეატრს, მის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის უბინაობა, და ამდენად გასაგებია ის სიძნელეები, რომლის დაძლევაც თეატრს უხდება.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რაც ამჟამად რაიონულ თეატრებში ხდება. ეს ნათლად გამოჩნდა სწორედ ახლა, საიუბილეო მზადების პერიოდში. იგრძნობა რაიონის თეატრების პროფესიული კულტურის ზრდა და შემოქმედებითი „არხების" გაფართოვება. ეს გამოწვეულია იმითაც, რომ ამ თეატრებში მოვიდნენ ახალგაზრდა რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, რომლებმაც თან მოიტანეს თანამედროვეობის გრძნობა და ახლის ძიების სურვილი, შემოქმედებითი გულწრფელობა და ენთუზიაზმი.

განახლების, ერთგვარი გადახალისების სურვილი იგრძნობა ახლა თითქმის ყველა რაიონულ თეატრში და საჭიროა გონივრულად წარიმართოს ეს პროცესი.

რაიონული თეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ არ არის ძლიერი, ბევრი დაბრკოლების გადალახვა უხდებათ მათ, სპეციფიკურ პირობებში შრომობენ ეს თეატრები. ამიტომ განსაკუთრებულად გვახარებს მათი ყოველი წარმატება, გვახარებს ის რიტმული, ინტენსიური მუშაობა, რომელიც მათ იუბილესათვის მზადების პერიოდში გასწიეს.

ბათუმის თეატრმა დადგა ნიჭიერი ახალგაზრდა დრამატურგის ა. სამსონიას პიესა „ზღვა და სიყვარული". წარმოდგენაში ძირითადად ახალგაზრდობა მონაწილეობს. პიესაც ჩვენი ახალგაზრდობისადმია მიძღვნილი. თეატრი ცდილობს პასუხი გასცეს ცხოვრებაში ახლად გამოსულ ახალგაზრდობის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს. მოვლენების ცენტრშია მოქცეული საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნის თემა. მართალია, პიესის მეორე ნაწილს აკლია სიღრმე, არის დეკლარაციული ადგილები, მხატვრულად სუსტი სცენები, მაგრამ იგი, საერთოდ, დადებით შთაბეჭდილებას სტოვებს. თეატრი სწორად მოიქცა, რომ ეს პიესა საიუბილეო რეპერტუარში შეიტანა. „ზღვა და სიყვარული" ჯანსაღ იდეურ საფუძველს ემყარება და სიმართლით მოგვითხრობს ახალგაზრდობის ცხოვრებაზე. დრამატურგი და რეჟისორი გულმოდგინედ ეძებენ პასუხს იმ კითხვაზე, რომელიც მათმა გმირებმა წამოჭრეს. ამ ძიებაში ისინი მოქალაქეობრივად მართალნი არიან და ეს არის მთავარი ღირსება სპექტაკლისა.

ქუთაისის თეატრმა 50 წლისთავს ა. ახმე-

ტელის სახელგანთქმული სპექტაკლის „ანზორის“ დადგმა უძღვნა. ეს მეტად სარისკო და საინტერესო ნაბიჯი იყო. ა. ვასაძემ დიდი გულისყურით, სიყვარულით აღადგინა წარმოდგენა. სპექტაკლმა მაყურებლის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვანახა იმ ადამიანთა რევოლუციური შემართება და პოეტური განცდა, რომლებმაც გულთან მიიტანეს ახალი ცხოვრება. ჯერჯერობით თეატრი მხოლოდ ამ წარმოდგენით დაკმაყოფილდა საიუბილეოდ. სასურველი კი იყო თეატრს ახალი, ჩვენი დღევანდელობის ამსახველი წარმოდგენებიც მიეძღვნა ამ დიდი თარიღისათვის.

სოხუმის თეატრში დაიდგა გ. მდივანის „ძია მიშა“ და რ. მამულაშვილის „ძია ელიოზი“. სუსტად დაიდგა მდივნის „ძია მიშა“. სპექტაკლს აკლია მხატვრული მთლიანობა, ემოციური დაძაბულობა. წარმოდგენის სწორი იდეური მიმართება მხატვრულად არ არის საინტერესოდ გახსნილი.

როცა თანამედროვეობის თემებზე, პრობლემებზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხს. საქმე ე. წ. „აქტუალური“ სპექტაკლების რიცხობრივ რაოდენობაში როდია. მთავარია სიახლე დავინახოთ ადამიანის სულში, ვიგრძნოთ იგი როგორც ახალი ცხოვრების პირმშო, მისი სიხარულის, მისი ტკივილების მატარებელი. უნდა შეგვეძლოს გავარჩიოთ სად არის ნამდვილი თანამედროვეობა და სად მოჩვენებითი.

კარგი ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარა ჭიათურის თეატრმა. ამ თეატრს ორიგინალურ პიესებზე მუშაობის ტრადიცია აქვს. მისი მსახიობები უფრო კარგად გრძნობენ თავს, როცა ქართულ პიესებს თამაშობენ. თეატრს არ უღალატა ალღომ, როცა პირველმა დადგა გ. ხუხაშვილის „ცხოვრება კაცისა“. წარმოდგენა ორჯერ იყო ჩამოტანილი თბილისში და ორჯერვე დადებითად შეფასდა..

ამავე დროს ჭიათურის თეატრში განხორციელდა ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, ვ. პატარაიას „მდინარის მოტაცება“ და შ. როყვას პრიმიტიული დრამა „დედა“.

ადრე დაიწყეს საიუბილეო მზადება მახარაძისა და თელავის თეატრებმა. მახარაძის თეატრში დაიდგა ბ. ლავრენევის „რღვევა“ და გ. ბერძენიშვილის „დაჭრილი არწივი“.

თელავის თეატრმა მაყურებელს უჩვენა შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“, ვ. კანდელაკის „ქართლის ჩირაღდნები“ და კაუგვერის „სასჯელის უმაღლესი ზომა“.

ზუგდიდის თეატრმა წარმატებით დადგა ვ. დარასელის „კიკვიძე“. ფოთის თეატრში წარმოადგინეს რ. ქორქიას „ნიკოლაძე“ და ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“, ცხინვალის თეატრმა დადგა ა. გეწაძის „თოფი და სიყვარული“, ხოლო ოსურმა დასმა მ. ჟირიმაგოვას „დაწყევლილი სახლი.“

სულ ახლახანს არსებობის 100 წლისთავი იზეიმა გორის თეატრმა. თეატრი არც ახალ საიუბილეო მზადებას ჩამორჩა. მან დადგა ისტორიულ-რევოლუციური პიესები: პოპოვის „ოჯახი“, გ. ნახუცრიშვილის „შუქი მიწიდან“.

საიუბილეო წარმოდგენები დადგეს თბილისისა და ქუთაისის თოჯინების თეატრებმაც.

როგორც ვხედავთ, ჩვენს თეატრებში საკმაო მუშაობაა ჩატარებული. ბუნებრივია ყველა სპექტაკლი, ყველა ჩანაფიქრი, რაოდენ კეთილშობილურიც არ უნდა იყოს, თავის მხატვრულ გამართლებას ვერ პოულობს სცენაზე, მაგრამ კარგია თვით ტენდენცია, სურვილი იმისა, რომ რაც შეიძლება მრავალფეროვნად წარმოვადგინოთ ჩვენი თანამედროვეობა და ისტორიულ-რევოლუციური წარსული სცენაზე.

ამასთან, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ დადგმული სპექტაკლების დიდი ნაწილი საშუალო დონეს ქმნის. აქ არის გარკვეული პროფესიული კულტურა, ძიებაც, სიახლისაკენ სწრაფვაც. მაგრამ, როგორც მარჯანიშვილი ამბობდა, „ერთი აფეთქებული სპექტაკლი სჯობია ას ზომიერს“.

საიუბილეო თეატრალური წელი ახალი რეჟისორული და აქტიორული მიღწევების გამოვლინებაც უნდა იყოს. ამ მხრივაც არის გარკვეული წარმატებები, უფროსი თაობის რეჟისორებისა და მსახიობების გვერდით გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ ამ დიდ, საეროსახალხო ზეიმში. სწორედ ეს ახალგაზრდები უნდა წარუძღვნენ ქართული თეატრის ხვალინდელ დღეს.

საქართველოს კულტურის სამინისტრომ, მწერალთა კავშირთან ერთად, მოაწყო დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პიესების კონკურსი. კონკურსზე წარმოდგენილი იყო 60-მდე პიესა, აქედან პრემიით აღინიშნა სამი, ხოლო წამახალისებელი ჯილდოთი — ოთხი.

საქართველოს კულტურის სამინისტრომ, თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად, ჩაა-

ტარა რამდენიმე ღონისძიება. მათ შორის მთავარია საიუბილეო სპექტაკლების კონკურსი-დათვალიერება. სპეციალურმა ჟიურიმ უკვე დაათვალიერა ყველა ეს სპექტაკლი, რომლებიც გასული სეზონის დამლევამდე შეიქმნა...

ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას დიდი ყურადღებით მოეკიდნენ ბათუმის, სოხუმის, ჭიათურისა და მახარაძის რაიონის ხელმძღვანელები, მოეწყო საუბრები, განხილვები. კონკურსი-დათვალიერება გრძელდება. იგი დამთავრდება ნოემბრის თვის მეორე ნახევარში. თბილისში მოეწყობა გამარჯვებული სპექტაკლების დეკადა.

წელს ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში ორი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებითა და მთავრობის დადგენილებით ქალაქებში: რუსთავში და ახალციხეში ჩამოყალიბდა სახელმწიფო თეატრები. ეს არის ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის საუკეთესო საჩუქარი, საუკეთესო ჯილდო რესპუბლიკის მშრომელთათვის, რუსთავისა და ახალციხის მცხოვრებლებისათვის.

ერთ-ერთი ამ თეატრთაგანი უკვე გაიხსნა. 23 სექტემბერს მესხეთის სახელმწიფო ქართულმა თეატრმა დაიწყო სეზონი და განახორციელა პირველი დადგმა. თეატრის გახსნა იყო ნამდვილი დღესასწაული, უდიდესი სიხარული მთელი მხარისა. მთელი მესხეთის ხალხი მადლიერების გრძნობით შეხვდა თეატრის გახსნას.

ახლად შექმნილმა თეატრმა კარგად დაგეგმა მუშაობა და საორგანიზაციო პერიოდი წარმართა იმგვარად, რომ გახსნის დღისათვის მის რეპერტუარში იყო ქართული დრამატული მწერლობის ორი შესანიშნავი ნიმუში: „კოლმეურნის ქორწინება“ და „ყვარყვარე თუთაბერი“. ორივე დადგმა ეძღვნება საოქტომბრო დღესასწაულს. ამავე თარიღს ეძღვნება ალ. ჩხაიძის პიესა „სიბრძნე სიკვდილისა“. თეატრის ახალგაზრდა კოლექტივი, რომლის ძირითად შემოქმედებით ბირთვს საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის გასული წლის გამოშვება შეადგენს, მონდომებით შეუდგა მუშაობას.

რუსთავის თეატრს, რომელიც სწორედ საოქტომბრო დღესასწაულებში გაიხსნება, ხელმძღვანელობს რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე. დასში თავი მოიყარა მეტად ნიჭიერმა და საიმედო ახალგაზრდობამ. ყველა პირობაა ვფიქრობთ, რომ თეატრი მკვიდრ ნიადაგზე დადგება და გამარჯვებით გაახარებს ჩვენს საზოგადოებრიობას.

თეატრი ამზადებს და ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნება რ. თაბუკაშვილის ახალი პიესა „ტექსელის აჯანყება“. საიუბილეოდ თეატრი მოამზადებს აგრეთვე ო. იოსელიანის თანამედროვეობის თემაზე დაწერილ პიესას „მთასვლელები“. ნაწარმოები უდაოდ საინტერესოა, საინტერესო მასალას იძლევა იგი აქტიორული შესრულების თვალსაზრისითაც. პიესა ფსიქოლოგიური რეალიზმის პრინციპებზეა აგებული და დრამატულ განცდასთან ერთად ჭარბად შეიცავს მხიარულ, ხალისიან განწყობილებას.

როგორც იცით, 1967-68 წ. სეზონი უშუალოდ საიუბილეო თარიღს ეძღვნება. საქართველოს თეატრების დიდმა უმრავლესობამ ახალი სეზონი გახსნა საიუბილეო სპექტაკლებით.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საპროგრამო სპექტაკლებს ახლო მომავალში განახორციელებს. დადგმული იქნება ორი ახალი ქართული ნაწარმოები: ო. თაქთაქიშვილის „ნოველები“ და ფ. ღლონტის „ილიადა 1917“.

თეატრის პორტფელშია შ. მშველიძის ახალი ოპერა „ჯარისკაცის ქვრივი“ (რ. ჯაფარიძის ცნობილი რომანის მიხედვით), რომელიც კომპოზიტორმა ახლახან დაამთავრა.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი საიუბილეო დღეებში მაყურებელს უჩვენებს ახალ სპექტაკლებს. ესენია: ა. შავერზაშვილის ოპერეტა „ნინო“ (გ. ნახუცრიშვილის ლიბრეტოს მიხედვით), რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებს ასახავს. მზადდება საზეიმო კონცერტი-სპექტაკლი „იცოცხლე მრავალჟამიერ“ (ლიბრეტოს ავტორებია ლ. ჭუბაბრია და პ. გრუზინსკი). იგი წარმოდგენილი იქნება როგორც ჩვენი ცხოვრების პანორამა-მიმოხილვა. დაიდგმება შ. მილორავას ახალი მუსიკალური კომედია „მისი ოცნების გმირი“ (ლიბრეტო ეკუთვნის გ. ჭიჭინაძეს).

თეატრს სარეპერტუარო პორტფელში აქვს ს. ცინცაძის, ნ. გაბუნიას, შ. მილორავას, ლ. იაშვილის, ო. თევდორაძის ოპერეტები.

რუსთაველის სახელობის თეატრმა მუშათა კლასის ცხოვრებაზე მოამზადა ს. ფოლიძისა და რ. ებრალიძის პიესა „ჩვენ, მისი უდიდებულესობა“. პიესა დადგა ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიპლომანტმა გ. ქავთარაძემ, ნამუშევარი საინტერესოა. თეატრის რეჟისურას საიმედო ძალა შეემატა. ჯერ საკუთარ ხელწერაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ რეჟისორული ნიჭი, ფანტაზია, მსახიობებთან მუშაობის უნარი გ. ქავთარაძემ უთუოდ გამოავლინა.

თეატრი ამზადებს აგრეთვე საკონცერტო შესრულებით ნაწყვეტებს უკანასკნელი პერიოდის საუკეთესო სპექტაკლებიდან.

კ. მარჯანიშვილის თეატრში გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს ახალი სეზონის გასახსნელად. თეატრს განზრახული აქვს სეზონი გახსნას ოქტომბრის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ახალი სპექტაკლით. ეს გახლავთ აკ. გეწაძის სამამულო ომზე დაწერილი პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში". მისი ავტორი სამამულო ომის მონაწილეა და პიესა იქ განცდილისა და ნანახის უშუალო შთაგონებით არის დაწერილი. შთაგონებითო, ვამბობთ იმიტომ, რომ გარეშოს ტრაგიკული სურათის მიუხედავად, გმირთა სულში დიდი სილამაზე და პოეზიაა ჩასახლებული.

საიუბილეო სპექტაკლებს მიმდინარე სეზონში მიემატება კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება". ეს ცნობილი რომანი ქართულ საბჭოთა კლასიკურ პროზას განეკუთვნება.

თეატრი ამზადებს სპეციალური საღამოსპექტაკლს, რომლის პროგრამაში შეტანილია თეატრის წარსული რეპერტუარიდან ისტორიულ-რევოლუციური სპექტაკლების ნაწყვეტები, კერძოდ, „ნინოშვილის გურია", „დაჭრილი არწივი", „ნაპერწკლიდან", „ყვარყვარე თუთაბერი" და გ. ტაბიძის „მშობლიურო, ჩემო მიწავ".

გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრმა, მიუხედავად მძიმე პირობებისა, მოამზადა ორი ახალი სპექტაკლი „ძია მიშა" და „ბრძოლა ჩრდილთან".

ოქტომბრის საიუბილეო თარიღისათვის მიმდინარე სეზონში ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრი ამზადებს ა. აღლაძის ახალ პიესას „თერგის ჩქერები". პიესა ეძღვნება ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრი საიუბილეო სეზონს ხსნის ლ. ალექსიძის რევოლუციურ თემაზე დაწერილი პიესით „არსენა ჯორჯიაშვილი" და ბ. ლავრენევის „რღვევით".

ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელობამ, როგორც აღვნიშნე, კარგი საქმე გააკეთა „ანზორის" დადგმით, მაგრამ მიმდინარე სეზონის საბჭოთა თემატიკის შემცველი რეპერტუარის შედგენისას დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთ-გილობრივი ავტორების კ. მეძველიასა და რ. ბერეოძის პიესებით.

კარგი და მოსაწონია, რომ თეატრი ხელს უწყობს ადგილობრივ დრამატურგებს, მაგრამ სხვასაც უნდა დაუთმოს ჯეროვანი ყურადღება, თუნდაც მიმდინარე სეზონში.

ა. გეწაძის პიესას „წმინდანები ჯოჯოხეთში" დგამენ ბათუმისა და სოხუმის თეატრები. ცხინვალის თეატრის რეპერტუარშია გ. ხუხაშვილის „ჯარისკაცები მიდიოდნენ უღელტეხილზე". ეს პიესა 50 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსზე პრემიით აღინიშნა. გორის თეატრი დგამს ო. იოსელიანის „მთასვლელებს", ჭიათურისა — ა. ბელიაშვილის „შვიდ კაცს", თელავისა — ო. მამფორიას „იეთიმ გურჯს", მახარაძისა — ვ. კანდელაკის „დაუმოავრებელ თამაშს", ზუგდიდისა — ქიაჩელის „ჰაკი აძბას" და სხვ.

ასეთია საქართველოს თეატრების უახლოესი სარეპერტუარო პერსპექტივები 50 წლისთავისადმი მზადებასთან დაკავშირებით.

საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან ერთად, ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელიც დაკავშირებულია თეატრის პრაქტიკულ ცხოვრებასთან.

განვლილმა პერიოდმა დაგვანახა, რომ მიმდინარე სეზონში ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი. ახალმა სეზონმა უნდა შეავსოს ის, რაც წარსულს დააკლდა. მიმდინარე სეზონი თეატრებისათვის საიუბილეოა. ეს უდიდესი პატრიოტული და პოლიტიკური ფაქტია. ამ მაღალი შეგნებით უნდა მოვეკიდოთ ჩვენზე მონდობილ საქმეს. თეატრების მთელი შემოქმედებითი ენერგიის მობილიზირებას.

ქართული თეატრის განახლების 50 წლისთავის დღესასწაულზე ი. ჭავჭავაძე ამბობდა: „მოგილოცავთ რა ამ ორმოცდაათის წლის დღეობას ჩვენი თეატრისას, ვისურვებ ჩვენის თეატრის მოღვაწეთათვის ცალკე და ჩვენ ყველასათვის საერთოდ, რომ თითოეულს ჩვენგანს გულში ანდერძად ჩაჰედილი ჰქონდეს: ვიმხნეოთ და გავძლიერდეთ".

სიმხნევე და სიძლიერე უანდერძებია ქართული თეატრისათვის დიდ ილიას.

ქართული საბჭოთა თეატრი კი არასოდეს ისეთი დიდი ამოცანების წინაშე არა მდგარა, როგორც დღეს. ჩვენი ხალხი ბევრს მოელის თეატრისაგან. ქართულ თეატრს აქვს მდიდარი მემკვიდრეობა, ნოყიერი ნიადაგი, რომელიც საიმედო საფუძველია ახალი შემოქმედებითი წინსვლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჩიმაკაძე

ბუნებრივია, რომ თეატრალური საზოგადოების მორიგმა პლენუმმა სწორედ დიდი ოქტომბრის საიუბილეო სამზადისზე გაამახვილა ყურადღება. ჩვენ ახლა ვდგავართ მეტად მნიშვნელოვანი თარიღის წინაშე ოქტომბრის ზეიმი, ეს არის ჩვენი საბჭოთაოს მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი გზის შეჯამება. ეს გზა კი სახელოვანი იყო.

ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი საკმაო ხანია შეუდგა მზადებას, ჩვენს თეატრში განხორციელებულმა ამ დიდი თარიღისადმი მიძღვნილმა ს. პროკოფიევის ოპერამ „სემიონ კოტკო“ როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ასევე საკავშირო მუსიკალური პრესის ქება-დიდებისა. ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მივუძღვნით ავროეთვე კომპოზიტორ ალექსანდრე ეგერზაშვილის ახალი ოპერა „ახალ ნაპირზე“. ჩვენი თეატრი საიუბილეო დღეებისათვის განახორციელებს ოთარ თაქაიშვილის ახალ ნაწარმოებს.

ამკაძად ოპერისა და ბალეტის თეატრის წინაშე დასახული ძალი რიგი ძნიშვნელოვანი ამოცანები. ჩვენ მოგვიწევს უფრო მეტი მუშაობა, რათა საოპერო თეატრში მაყურებელმა იხილოს თანამედროვეობის ჯეროვანი მაღალმხატვრული ნაწარმოებები.

არჩილ ჩხარტიშვილი

რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი ახლა ზეტად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგას. ეს არის გასტროლები რუმინეთში. მაგრამ ჯერ მოგახსენებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ საიუბილეო სამუშაოებზე. რუსთაველის თეატრმა ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, 1964 წელს განახორციელა რევოლუციის 50 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სპექტაკლი. ეს იყო ვახიოს დარასელის „სიმღერა შევარდენზე“, რომელიც იხილეო თუმანიშვილმა დადგა, შემდეგ ოგივე რეჟისორმა წარმოადგინა ლეო ქიაჩელის ცნობილი ნაწარმოების „გვადი ბიგვას“ ინსცენირება. აი, ამ დღეებში კი ჩვენ დავამთავრეთ მუშაობა სიკო დოლიძისა და რეგაზ ებრაელიძის პიესაზე „ჩვენ, მისი უდიდებულესობა...“, ამ სპექტაკლის პრემიერა რუმინეთში გაიმართება. სამივე ეს სპექტაკლი, როგორც მოგახსენეთ, ოქტომბრის იუბილეს მივუძღვენით. ამას გარდა, იუბილეს დღეებში მოეწყობა დეკადა რუსთაველის თეატრის სპექტაკლებისა.

რამდენიმე დღეა და, პირველად ქართული თეატრის ისტორიაში, ჩვენ უცხოელი მაყურებლის წინაშე წარვსდგებით. მოგახსენებთ, ეს სპპატიოცია და საპასუხისმგებლოა. ჩვენი გასტროლები იუბილეს ეძღვნება. რუმინეთში თითქმის ორ კვირას დავყოფთ. თეატრი ფულდასმით ემზადებოდა ამ გასტროლებისათვის და ყოველნაირად შევეცდებით, რომ უცხოელ მაყურებელს კარგად წარვუდგეთ.

ახლა რუსთაველის თეატრი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ამ ცოტა ხნის წინათ იყო. თეატრის კოლექტივი შეკრულია ერთ მთლიან ორგანიზმად, მის ირგვლივ შემოკრებილი არიან ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც საინტერესო პიესებს გვპირდებიან ეს კი გვაიძულებს და უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გვექნება კარგი სპექტაკლები.

სერგო ჭელიძე

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად ამაღლდა საქართველოს თეატრების მხატვრული დონე, გაიზარდა სპექტაკლების კულტურა. მაგრამ ეს როდია დამაკმაყოფილებელი. ეროვნულ თეატრი, მიუხედავად მძიმე პირობებისა, ყოველდღიურად ცდილობს აიმაღლოს თავისი შემოქმედებითი კულტურა. ჩვენი თეატრი ამჟამად გასაპირს განიცდის, შეხობა დაგვიხგრიეს და ვიდრე ახალს ააშენებდნენ, ყველა ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოგვიწევს.

ბოხსენებაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ეროვნული თეატრი ქართულ დრამატურგიას არ ეტანება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნულ თეატრს რესპუბლიკაში ერთადერთი ორიგინალური ქართული დრამატურგიის ნაწარმოები გაუცვლია. ახლა კი, რასაკვირველია, უფრო მეტი გვმართებს, შევეცდებით, რომ ქართული დრამატურგია უფრო ფართოდ გავაცნოთ მაყურებელს.

ახლა ჩვენი თეატრი ემზადება საიუბილეო გასტროლებისათვის. ეს გასტროლები სოჭში ეიმართება.

ზოთა მესხი

ჩვენ ახლა ნახევარსაუკუნოვან გზას ვიჯამებთ. ეს იყო დიდი, წარმატებებითა და სიძნელეებით მოფენილი გზა და ცხოვრება. მაგრამ ახლა ჩვენს სამშობლოს სახელოვანი ისტორია აქვს, ამ ისტორიაში დიდი როლი ეკუთვნის თეატრს, იგი პარტიის იდეების ერთგული დარაჯი იყო და გულწრფელად ემსახურებოდა მას.

ვასო ანაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი ამ იუბილეს სათანადო სპექტაკლებით ხვდება. მაგრამ ეს როდია მთავარი, მთავარი ისაა, რომ თეატრი ეძებდა თავის შემოქმედებითს სახეს, მას სურდა დამდგარიყო ქართული თეატრალური კულტურის სიმაღლეზე. ამ მხრივ ბევრი რამ გვქონდა გასაკეთებელი. ეს პროცესი ჯერაც არ მიგვიჩნია დამთავრებულად. ამიტომაც არის, რომ უკვე სამი წელია უარს ვამბობთ მოსკოვის კრემლის თეატრის საგასტროლო მიწვევაზე.

თეატრს აქვს პრეტენზიები კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების მიმართ — ჩვენ გვაქვს სუსტი ორკესტრი, ძალზე შეუფერებელი ბალეტი. გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს აგრეთვე გუნდი, ხელს გვიშლის ისიც, რომ თუ ეინმე ჩვენთან კარგი გამოჩნდა, შემოქმედებითად ეიტაცებდა. უძალ სხვაგან გადაპყავთ, ეს ცუდად მოქმედებს თეატრის შემდგომ საქმიანობაზე. კულტურის სამინისტრო და თეატრალური საზოგადოება უნდა დაგვეხმარონ, რომ ასეთი რამ შემდგომში მაინც აღარ განმეორდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან კანდელაკი

სრულიად უცნობი დრამატურგი ვიყავი, მაშინ ჩემი პიესები მხოლოდ ბათუმის თეატრში იდგმებოდა, თბილისიდან რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ გამომიგზავნა ბარათი და თეატრის საშვი. მწერდნენ, როცა თბილისში ჩამოხვალთ, ჩვენს თეატრშიც შემოიარეთ ხოლმეო.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ დამსწრეთათვის მომეგონებინა, თუ რაოდენ კეთილი და საჭირო ურთიერთობა იყო ადრე თეატრსა და დრამატურგს შორის. შემდეგ ეს მშვენიერი ტრადიცია თანდათან მიიეწყვა. ახლა თეატრისა და დრამატურგის ურთიერთობა პირადი დამოკიდებულებით განისაზღვრება, ეს ზიანს აყენებს საერთო საქმეს. ალბათ, ამიტომაცაა, რომ თეატრებში ასე მომრავლდა ინსცენირება. თუ ამ საქმეს დროზე არ მიეხედეთ, შეიძლება ფრიად არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ.

აკაკი ვასაძე

დღეს აქ ლაპარაკი გვაქვს ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე და, მე ვფიქრობ, ახლა შინაც უნდა ყოფილიყო დიდი საუბარი პერიფერიებში განლაგებული თეატრების ტკივილებზე. ღ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მეტად ნაყოფიერსა და ძაბუნ შემოქმედებით შრომას ეწევა. პირადპირ ვიტყვი, იგი თავდადებით მუშაობს. ამიტომ მას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. დროა ვიფიქროთ იმაზე, რომ უფრო მეტად ანაზღაურდეს პერიფერიის თეატრის მსახიობთა შრომა.

ამ საკითხზე დროულად უნდა იზრუნოს კულტურის სამინისტრომ.

მე ახლახან მივლინებული ვიყავი ლენინგრადში, ბიმიწვიეს ლენინგრადის „აქტიორის სახლის“ სეზონის გახსნაზე. ძალიან მაინტერესებდა ერთხელ კიდევ, ამ დიდი იუბილეს წინ, გავცნობოდი ლენინის ქალაქის ცხოვრებას, უნდა გითხრათ, რომ აღფრთოვანებული დავრჩი იქაური თეატრალური ცხოვრებით. ვიყავი ტოვსტონოგოვისა და აკიმოვის თეატრებში, რომლებშიც მეტად საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ღუღს. კომისარჟევსკაიას თეატრში ვნახე ნ. დუშბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

უნდა გითხრათ, ეს სპექტაკლი მაღალ პროფესიულ დონეზეა დადგმული და სავსებით შეეფერება ლენინის ქალაქის თეატრალურ ტრადიციებს.

მიხეილ მეძმარიაშვილი

მესხეთის თეატრს სულ 9 დღის ისტორია აქვს, ჩვენი თეატრის ახალგაზრდული კოლექტივის სახელით მივესალმები პლენუმს და აღვუთქვამ, რომ ჩვენი თეატრი რესპუბლიკის მოწინავე თეატრალურ კოლექტივთა რიგებში ჩადგება. მესხეთის თეატრმა მაყურებელს უკვე უჩვენა 4 პრემიერა, აქედან — 3 საბჭოთა თემატიკაზეა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება.

ჩვენი თეატრის ერთ-ერთი ამოცანაა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზარდოს მეხეი მაყურებელი. ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვთხოვო ქართველ დრამატურგებს, რომ შეაქმნან პიესები მესხეთის ისტორიაზე, **წარსულსა და დღეკანდელ** დღეზე. მას ხომ დიდებული წარსული და არა ნაკლებ მიმზიდველი დღეკანდელობა აქვს.

ჩვენმა თეატრმა სცენაზე უნდა გადაიტანოს მესხეთის ცხოვრების ამაღელვებელი ეპიზოდები. ეს იქნება უაღრესად პატრიოტული საქმე.

ალექსანდრე ეგუტია

ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ ხოლმე თეატრის კულტურასა და შემოქმედებით პოტენციალზე, მაგრამ ძალიან ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით. ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელობას ჰგონია, რომ თეატრი სპირდება მხოლოდ იმას, ვინც თეატრში მუშაობს. მათ ვერ გაუგიათ, რომ ეს ეროვნული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა და სათუთი გაფრთხილება უნდა. რაიონული ხელმძღვანელობის უყურადღებობა კი ძალიან ცუდად მოქმედებს თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაზე. ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობა სრულიადაც არაა დაინტერესებული თეატრის ბედით და იგი უმნიშვნელო საქმედ მიიჩნია. მე შემომაქვს წინადადება: კარგი იქნება თუ კულტურის სამინისტროს კოლეგიაზე მოსმენილი და განხილული იქნება საკითხი, თუ როგორ ეხმარებიან თეატრებს ადგილებზე. შეიძლება ამ ღონისძიებამ მაინც გაზარდოს პასუხისმგებლობის გრძნობა. ურიგო არ იქნება, რომ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა პერიოდულად გამსვლელი სხდომები მოაწყოს რაიონებში და თეატრების საქმიანობა კანონიზოს. ეს თეატრის აუტორიტეტს აამაღლებს.

ოთარ ალექსიშვილი

დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად რამდენიმე სპექტაკლი დავდგიო. ამთგან ზოგიერთმა მაყურებლისა და კრიტიკის ყურადღება დაიმსახურა. ახლა კი მაღე წარმოვადგენთ აკაკი ბელიაშვილის რომანს „შვიდკაცას“, რომლის ინსცენირებაც ნოდარ გურაბანიძეს ეკუთვნის.

ამ უკანასკნელ წლებში ბევრს ლაპარაკობენ პერიფერიის თეატრების შემოქმედებაზე. აქ მართლაც, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ რატომღაც ზოგი კრიტიკოსი თუ თეატრალი სკეპტიკურად ეკიდება მას. ჩვენ მეტი ყურადღება და დახმარება გვინდა.

პერიფერიულ თეატრებში მრავალი ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი მუშაობს, მათ გაფრთხილება, მოვლა და გამხნევება სჭირდება. ეს ხალხი დაბრკოლებას არ უშინდება და ჩვენი თეატრალური კულტურის განვითარებისათვის, მისი დიდებისა და სახელისათვის უანგაროდ იბრძვის. მაშ, რატომ არ უნდა დავეხმაროთ? როცა მათი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფებებზე ვლაპარაკობთ, დამსახურებული თბილი სიტყვაც თამამად და უფრო ხშირად უნდა ვუთხრათ.

შემოქმედებითი აღმავლობის გზით

წელს თბილისის თეატრალური ზაფხული ა. წერეთლის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლებით დაიწყო. ჭიათურელები ივნისში ესტუმრნენ ჩვენს დედაქალაქს. ჭიათურელთა ეს გასტროლები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. სტუმრების საგასტროლო რეპერტუარში იყო ოთხი სპექტაკლი — კვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია", ბ. ხუხაშვილის „ცხოვრება კაცისა", დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით შექმნილი „სამანიშვილის დედინაცვალი" და ვ. როზოვის „დედა".

ტრადიციისამებრ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. განხილვა შედგა 30 ივნისს.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

— გულწრფელად უნდა აღვნიშნო,—თქვა დ. ანთაძემ, — რომ ამ ბოლო ხანებში ჭიათურის თეატრმა საგრძნობლად გაეაუმჯობესა მუშაობა. ამ თეატრში განხორციელებულმა ბევრმა სპექტაკლმა საერთო აღიარება დაიმსახურა. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ი. ალექსიშვილის რეჟისორობით დადგმული „ცხოვრება კაცისა". კარგია, რომ თეატრი ცდილობს უპირატესად ეროვნულ დრამატურგიას დაეყრდნოს. ეს წარმატების ნამდვილი საწინდარია.

შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს მომხსენებელ ნოდარ გურაბანიძეს.

ნოდარ გურაბანიძემ თქვა:

— ის გულთბილი შეხვედრა, რომელიც თბილისის საზოგადოებრიობამ მოუწყო ჭიათურის თეატრს, ნათლად მეტყველებს კოლექტივის შემოქმედებით ზრდაზე. თეატრმა გაიკვლია გზა მაყურებლის გულისაკენ, მონახა ის საშუალებები, რომელიც უფრო ქმედითს ხდის მის მოღვაწეობას.

ჭიათურის თეატრი ჩვენთვის საყვარელი გახდა არა მარტო ამყამინდელი რეპერტუარითა და შემოქმედებითი მიღწევებით, არამედ იმ ტრადიციითაც, რომელიც მას გაჩნია. ამ თეატრში მოღვაწეობდნენ ჩვენი თეატრალური წარსულის ცნობილი ოსტატები. აქ, ამ თეატრში შემოქმედებითად დავაუკაცდა ბევრი ქართველი დრამატურგი. მიმდინარე გასტროლებმა კი ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ეს თეატრი ერთგულია ეროვნული დრამატურგიისა.

თეატრის საგასტროლო რეპერტუარი მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც იმას მოწმობს, რომ თეატრის ხელმძღვანელობას სურს, რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოგვიდგინოს თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება.

მე დავიწყებ გ. ხუხაშვილის პიესის „ცხოვრება კაცისას" განხილვით. ვეთანხმები იმ აზრს, რომ ეს პიესა ჭიათურის თეატრში უკეთ განხორციელდა, ვიდრე რესპუბლიკის სხვა თეატრებში. სპექტაკლი ხასიათდება სიმკაცრით და თავშეკავებულობით. უკეთესია მსახიობთა თამაშიც, რაც, მართალია, ყოველთვის საჭირო დონეზე ვერ დგას, მაგრამ მოიხსნიფვის მაქსიმალურად გამოავლენს ვმირის არსებითი მხარეები. რეჟისორი შეეცადა მკვეთრად გამოეხატა სპექტაკლის მთავარი გმირის სახა ურბნელის ხასიათი, მისი თავგადასავალი.

ჩემზე გაორებული შთაბეჭდილება დასტოვა სპექტაკლის დასაწყისმა. ამის მიზეზი იყო მთელი სპექტაკლის წყობიდან ამოვარდნილი ზომიერი სტილი და ხაბას მიერ სამყაროს შეცნობის ეპიზოდები. სბა ურბნელის მიერ სამყაროს შეცნობა არ არის გახსნილი ისე, რომ იგი გონებით აღიქვამდეს სამყაროს და ამ გზით ბედნიერებასაც ეზიარებოდეს. ნ. ჩაჩანიძე სამყაროს აღიქვამს ემოციურად, არ ჩანს მისი გონიერება, მისი მაძიებელი სულისკვეთება. ამიტომ სბა გონებაჩლუნგი ადამიანის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს. სა-

გზა დაუულოცოთ

შორეული არსიანის მთებიდან მტკვარი მღელვარედ მოარღვევს კლდეებს. ჯავახეთის კარგამოვლილი ხერთვისის ციხე-კოშკებს ფეხებს ბანს. ასპინძასთან მოიწონებს თავს. აი, იმ ნახიდარის ქვებთან მდინარე მოწმე გახდა ასპინძაში ერეკლეს გამარჯვებისა. წავიდნენ დრონი. მტკვარი კი თავის ზემო ხეობაში, სულ ვიწროებში კისერნატეხი მხოლოდ სოფელ მიწაძეებთან გამოდის პირველად ქართველის გაკეზე. გამოდის და ჭანრით, მურწათი და ღლავით სავსე ტოტებად იშლება. მინაძეებთან ცოტა დაბლა დედამდინარეს შედარებით მორჩილი, ლიახვისტოლა ფოცხოვი შეერთვის.

ამ ორი მდინარის შესართავთან, მაღლობებზე შეფენილია ახალციხის მოსახლეობა. თბილისიდან ახალციხისკენ მოისწრაფიან რკინიგზა და ფართო, გუდრონირებული გზები. ეს ქალაქი ისევე უძველესია, როგორც თბილისი, გორი, ქუთაისი, თელავი, სიღნაღი, ამ ქალაქის გარშემო წარსულ დროებათა სწორუპოვარი ძეგლები — საფარა, ზარზმა და დაბლა აწყურის ციხე-კოშკები შემოჯარულან. გზატკეცილს იქით, მდინარის გაღმა ტინზე საყუნეთის საყდარი წამომართულა.

ამ ძეგლთა ვარსკვლავედში დაიბადა და აღიზარდა დიდი შოთა რუსთაველი. აქ მოღვაწეობდნენ ხანძთელები, მერჩულე, ბექა ოპიზარი. მერე რა, რომ ჩვენი ქვეყნის ამ კუ-

ბედნიერდ. ნ. ჩაჩანიძე მალე თავისუფლდება ამ ექსპოზიციური ხარვეზისაგან და გვაძლევს გმირის მართალ სურათს.

ნ. გურაბანიძე ვრცლად განიხილავს სპექტაკლის რეჟისორისა და მხატვრების მუშაობას, აანალიზებს მ. ვაშაძის (ბასა) და გ. მოდებაძის (ჯანელიძე) თამაშს და შემდეგ გადადის ვს. ვინშენკაის პიესის „ოპტიმისტური ტრაგედიის“ განხილვაზე.

— „ოპტიმისტური ტრაგედია“ საბჭოთა დრამატურგიის კლასიკური ნაწარმოებია. როდესაც თეატრი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულის შესახვედრად ემზადება, ამ პიესის რეპერტუარში შეტანა სავსებით ბუნებრივია. მაგრამ ამას წინდა საზეიმო იერი არ უნდა ჰქონდეს და არ უნდა ვფიქრობდეთ, რომ ეს მხოლოდ თარიღის აღსანიშნავი სპექტაკლია. ამ პიესის დადგმისას საჭიროა ისეთივე თავგანწირვა, როგორი თავგანწირვითაც ამ ნაწარმოების გმირები მოქმედებენ. ჩვენმა ახალგაზრდობამ უნდა იგრძნოს და დაინახოს თუ რისთვის სწირავდნენ თავს რევოლუციას. ამ დადგმაში კი ეს არ იგრძნობა, არ ჩანს რა აწუხებს რეჟისორს, რატომ მოკიდა ხელი ამ პიესას და არა „ლუბოვ იაროვაია“. ჭიათურის თეატრში ამ პიესის დადგმა მეორე მხრივაც არ იყო მიზანშეწონილი — თეატრს არ ჰყავდა კომისრის როლის შემსრულებელი ქალი. მსახიობი, რომელიც ამ როლს ასრულებს, ღრმად ვერ სწვდება კომისრის ბუნებას. ამ მსახიობის მიერ განსახიერებულ კომისარში არ იგრძნობა ის დიდი ძალა და შინაგანი რწმენა, რომელიც ამ ქალს სინამდვილეში გააჩნდა. ამიტომაც სპექტაკლი ცივი გამოვიდა.

შემდეგ ნოდარ გურაბანიძე ლაპარაკობს მსახიობებზე, იგი დადებითად ფასებს მ. ვაშაძის თამაშს და ცალკეულ შენიშვნებს გამოთქვამს ნ. ჩაჩანიძეზე, რომელიც ალექსეის როლს ასრულებს.

— სპექტაკლში „სამანშვილის დედინაცვალი“ — განაგრძობს მომხსენებელი — ყველა მსახიობი თავის სტიქიაშია. რეჟისორს არ უნდოდა რაიმე ძალდატანება, განსაკუთრებული გამომსახველი საშუალებების ძიება. ყველა კარგად გრძნობს დავით კლდიაშვილის იმერეთს. სპექტაკლში შექმნილია ძალიან ცოცხალი, დრამატულად მძაფრი და იუმორით შეზავებული სურათი, განწყობილება. ა. ბარათაშვილის თამაშში იაფუასიანი იუმორისტული საშუალებებისაკენ ერთგვარი მიდრეკილება ჩანს, ეს განსაკუთრებით საგრძნობია სპექტაკლის პირველ ნაწილში. საერთოდ კი, ა. ბარათაშვილი მეკინას საინტერესო სახეს ქმნის. ა. ბარათაშვილმა შესანიშნავად ითამაშა სპექტაკლის მეორე ნაწილში.

შემდეგ ნ. გურაბანიძე ახასიათებს მსახიობებს, რომლებიც ასრულებენ ელენეს (ა. დათებაშვილი), არისტოს (ნ. ქამუშაძე) და კირილეს (ა. კახნიაშვილი) როლებს.

მომხსენებელი ჩერდება ამ თეატრში განხორციელებულ შ. როუვეას პიესაზე („დედა“) და ამბობს, რომ ეს პიესა იმდენად დაბალ დონეზე დგას, რომ საგასტროლო რეპერტუარში არ უნდა ყოფილიყო შეტანილი.

დასასრულს მომხსენებელი ლაპარაკობს თეატრის წინაშე წამოყრილ ამოცანებზე.

— თეატრის ხელმძღვანელობამ—ამბობს იგი—უნდა იზრუნოს ახალგაზრდობის მოზიდვასა და გაბედულ დაწინაურებაზე. სპექტაკლების მხატვრულად გაფორმების დონის ამაღლებაზე.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარ კარლო კუკულაძეს. ივი ამბობს:

— მე ვილაპარაკებ სამი სპექტაკლის მხატვრული გაფორმების თაობაზე. ესენია: „ოპტიმისტური ტრაგედია“, „დედა“ და „სამანშვილის დედინაცვალი“. სამივე ეს სპექტაკლი ერთი მხატვრის გ. აბუანდაძის მიერაა განხორციელებული. ამიტომაც ისინი ერთმანეთს წააგავს. მე ეს არ მიმაჩნია უარყოფით მოვლენად. კარგია, როცა მხატვარს აქვს თავისი კერადო, ხელწერა. მაგრამ ცუდია თუ ეს შემოქმედებითი ზეგამის სახეს მიიღებს. ამ სპექტაკლებში კი ნათლად იგრძნობა ამის საშიშროება.

შემდეგ კ. კუკულაძე ლაპარაკობს იმ ზოგიერთ უხერხულობაზე, რაც შეიმჩნევა სპექტაკლების გაფორმებისას. ამის აღსაკვეთად იგი აყენებს წინადადებას ისტორიის ავი ქვა და გუნდა დაატყდა თავს? საბჭოთა წლების მანძილზე იგი კვლავ გაიფურჩქნა, ფენიქსებრ აყვავდა.

ბევრი მწარე და ტკბილი დღე უნახავს ძველი მესხეთის ამ ძვირფას თვალს, ხოლო 1967 წლის 23 სექტემბერი მარად დარჩება მესხეთის ტკბილად მოსაგონარ დღედ.

ამ დღეს ახალციხეში გაიხსნა სახელმწიფო დრამატული თეატრი. ამ დიდ საქმეს კომუნისტური პარტიის უშუალო მზრუნველობით ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი მიხეილ გრძელიშვილი მეთაურობდა და საზეიმო სხდომაზედაც პირველი სიტყვა მან წარმოსთქვა. თეატრის დარბაზი ძველი მესხების შთამომავლობამ გაავსო.

თეატრთან მოზღვავებული ხალხი გულნატკენი დარჩა, რომ ამ დიდ ზეიმს ვერ დაესწრო. საზეიმო სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორმა ნ. ბეგიშვილმა, კომკავშირის ახალციხის რაიკომის სასკოლო განყოფილების გამგემ ლ. ხმალაძემ, № 1 შახტის პარტბიუროს მდივანმა დ. კვინიკაძემ, ახალციხის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. ატოიანმა, პარტიის ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ისაკაძემ, პარტიის ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. მექვაბიშვილმა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა, საქართველოს თეატრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გას, რომ როგორც ჭიათურის, ასევე რესპუბლიკის სხვა თეატრებმა ხშირად მოავლინონ დედაქალაქის თეატრებში მხატვრები, გრიმიორები, გამნათებლები და სხვანი. აქ ისინი სისტემატურად განაახლებენ, გაამდიდრებენ თავის შესაძლებლობებს. პერიფერიული თეატრების ტექნიკა და მხატვრული შესაძლებლობანი ძალზე ჩამორჩა.

დრამატურგი ვასო პატარაია ლაპარაკობს ქართული დრამატურგიის განვითარების მტკივნეულ საკითხებზე. ინსცენირების მაგნე სენზე და ბოლოს ჩერდება ჭიათურის თეატრის მიერ უკანასკნელ წლებში მიღწეულ წარმატებებზე.

რეჟისორი მ. ოლშანიცკაია მხოლოდ ერთ სპექტაკლს — „ოპტიმისტურ ტრაგედიას“ ეხება. იგი ამბობს, რომ ასეთი კლასიკური ნაწარმოების ახალი ინტერპრეტაციის დროს საჭიროა სრულიად ახლებურად გავაშუქოთ პიესაში წამოჭრილი საკითხები, დავუმარჩილოთ იგი ჩვენს თანამედროვეობას, მის პრინციპებსა და მოთხოვნებს. იგი იზიარებს მომხსენებლის აზრს, რომ რადგან თეატრში კომისრის როლის შემსრულებელი არ მოიპოვება, მისი განხორციელება მიზანშეუწონელია.

თეატრმცოდნე ა. ტრაპაიძე მიმოიხილავს ჭიათურელთა საგასტროლო სპექტაკლებს და მაღალ შეფასებას აძლევს მათ. შემდეგ ა. ტრაპაიძე დადებითად აფასებს თ. ელიავას, ი. ჯიუკარიანის, ა. ბარათაშვილის, ალ. ცაბაძის, ა. მოსეშვილის, ნ. ქამუშაძის, გ.ყუსიანის და სხვათა თამაშს. ამ მსახიობებმა გასტროლების დროს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

კამათში გამოსული მ. ცხომარია ლაპარაკობს „ოპტიმისტურ ტრაგედიასა“ და „სამანიშვილის დედინაცვალზე“.

სიტყვა ეძლევა აკ. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის დირექტორს ბ. კავთელაძეს. იგი ამბობს, რომ მომხსენებელს უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმო თვითეული მსახიობის შემოქმედებისათვის. ჭიათურელები 20 წელიწადში ერთხელ ჩამოდიან თბილისში და საჭიროა მაშინ მაინც ვოქვათ რამე მსახიობებზე, რადგან რესპუბლიკური გაზეთები არც თუ ხშირად სწერენ მათს შესახებ. იგივე აზრი გამოთქვეს მსახიობებმა ა. ბარათაშვილმა და ვ. სვანელმა. მათ ილაპარაკეს იმაზე, რომ მოხსენებაში უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო გაშუქებული მსახიობთა ნამუშევრები.

ჭიათურის თეატრის უკანასკნელი ხანების მნიშვნელოვან წარმატებებზე ილაპარაკეს დრამატურგმა გ. ხუხაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ც. ამირეჯიბმა და თეატრმცოდნე ვ. კიკნაძემ.

სიტყვას ამბობს თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ალექსიშვილი. იგი მადლობას უხდის თეატრალურ საზოგადოებას ამ განხილვის მოწყობისათვის და ლაპარაკობს თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების ცალკეულ საკითხებზე. მას სამართლიანად მიაჩნია განხილვაზე გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში თეატრი უფრო ძლიერად წარსდგება მაყურებლის წინაშე.

განხილვა შეაჯამა დოდო ანთაძემ. თავის საბოლოო სიტყვაში მან ილაპარაკა იმ მნიშვნელოვან ტენდენციებზე, რაც შეიმჩნევა ამ თეატრის ცხოვრებაში.

ლური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ო. ეგაძემ, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროორექტორმა ე. გუგუშვილმა, პოეტმა-დრამატურგმა ა. აბშილავამ, ჭიათურის თეატრის დირექტორმა ბ. კავთელაძემ, გორის თეატრის რეჟისორმა გ. აბრამიშვილმა და პროფესორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. ჯანელიძემ.

წარმოადგინეს თეატრის პირველი სპექტაკლი — ოთარ ჩხეიძის „თედორე“; დიდი, დიდი ბედნიერება დაბუდებულიყო სულგანაბული ხალხის გულში. როლებს ასახიერებდნენ თბილისის თეატრალური ინსტიტუტისა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მსახიობები. რა ამაღელვებელი სანახავი იყო, როცა პროორექტორმა ე. გუგუშვილმა და პროფ. დ. ჯანელიძემ ინსტიტუტის ყოფილ შეგირდებს შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისის დღეს ინსტიტუტის დამთავრების დიპლომები გადასცეს.

ამბობენ, გასაჭირში გამოვლილ კაცს არაფერი ჯობიანო. ამის თქმა ახალციხეზე შეიძლება. აბა, რა სჯობია ახლა გაჭირვებაგამოვლილი, განახლებული და აყვავებული ქალაქის ქუჩებში გავლას, მესხეთის წყლის დალევას!

ძველი მესხეთის ცენტრი ახალციხე არაფერით უკან არ რჩება ქართლის, კახეთის, გურიის, სამეგრელოს, იმერეთისა და აჭარის რაიონულ ცენტრებს.

და აი, ახლა კიდევ უფრო გამშვენდა ქალაქი — თეატრის დაარსება ახალ ფერს, ახალ ეერს, ახალ შინაარსს მისცემს ქალაქის ცხოვრებას.

დავლოცოთ იგი.

ბედნიერი იყოს ამ თეატრის მომავალი გზა!

დავით ჩხეიძე

საქართველოს სსრ ხელოვნების

დამსახურებული მოღვაწე

სიფფვა, რომელიც განხილვაზე უნდა ნარმომეთქვა

ჭიათურის თეატრის სამი სპექტაკლი ვნახე. ესენი იყო „ოპტიმისტური ტრაგედია", „ცხოვრება კაცისა" და „სამანიშვილის დედინაცვალი". დადგმების მხატვრული გარჩევას მე აქ არ დავიწყებ. ამ წარმოდგენებში ჩვენ დავინახეთ ნიჭიერი რეჟისორები (ო. ალექსშვილი, ს. ცომაია), რომლებსაც ხასიათებიც კარგად აქვთ გაგებული, მოქმედების დროის სუნთქვაც ესმით და ლიტერატურულ მასალასთან შემოქმედებითი დამოკიდებულების უნარიც გააჩნიათ.

მე მაინტერესებს მიხეილ ვაშაძე — დღევანდელი ქართული თეატრის ერთი საუკეთესო მსახიობთაგანი. დიახ, საუკეთესო, გარდასახვის უნარით ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული და სასცენო ოსტატობას დაუფლებული. რომელიც ღირსეულად უდგას გვერდში იმათ, ვინც დღეს ქართული აქტიორული ხელოვნების დიდების კოშკს აგებენ.

ჭიათურის თეატრს ნიჭიერ მსახიობთა კოლექტიკი ამშვენებს, მაგრამ ნიჭიერთა შორის ნიჭიერებითა და ოსტატობით გ. ტყაბლაძე და მ. ვაშაძე მაინც "გამოირჩევიან. მიხეილ ვაშაძე სცენაზე თითქმის ოცდაათი წლის წინათ ვნახე და მაშინვე მოვიხიბლე მისი უბრალოებით, ისეთი ღრმა უბრალოებით, როგორსაც ნამდვილი ხელოვნება მოითხოვს შემოქმედისაგან.

გარდასახვის, სხვად ქცევის ამოცანა მეტად რთულია (და სწორედ ამატომაც არის ის ხელოვნება!). სხვად უნდა იქცე ისე, რომ არ შეგეშინეს, მაყურებელს ეჭვი არ დაებადოს, რომ თქვენ სწორედ ის ხართ, ვისაც ანსახიერებთ. აქ არ კმარა მხოლოდ კარეგნული მზგავსება — ჩაცმულობა, ნიღაბი. საჭიროა სახეს შინაგანი ექვივალენტი მოუნახოო, სულითა და ქცევით დაემსგავსოთ თქვენს გმირს. მსახიობის თამაშში სხვად ქცევის „პროცესი" არ უნდა ჩანდეს, სახე ტანზე მას ნათხოვარი ტანისამოსივით არ უნდა ადგეს, ხაკუთარივით უნდა ჰქონდეს მორგებული. დ., ი., რომცა მიაგნებთ გარდასახვის ამ ფორმას, — იპოვთ სამართლეს, მიიღწევთ ბუნებრივობასა და ინ ამაღლებულ უბრალოებას, რომელიც ჭეშმარიტი შემოქმედების მთავარი ნიშანთვისებაა. ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის უცხოა გარეგნული ეფექტები. მოჩვენებითი ბრწყინვალება. ნამდვილ ხელოვნებაში გამოსახვის ემპირული საშუალებებს ორგანულად ერწყმის და უჩინარდება აზრის სიღრმე და მხატვრული სიდიადე.

პირველეოოვლისა, ნიჭის ამ უბრალოებამ მომხიბლა, როდესაც მე პირველად გრიგოლ ტყაბლაძე და მიხეილ ვაშაძე ვნახე. მათ უკვე მაშინ, თითქმის ოცდაათი წლის წინათ, საკუთარი ხმისათვის, საკუთარი ხელწერისათვის მიეღწიათ და თამამად, თავისუფლად ფლობდნენ გარდასახვის ყველა სულიერ ინსტრუმენტს. მას შემდეგ ყოველ ახალ გამოსვლაში. სულ უფრო ოსტატდებიან და შემოქმედებით სრულყოფას აღწევენ. ახლა, გასტროლების დროს რომ ვნახე, დაკ-

რწმუნდი, რომ სამოც წელს მიტანებული მიხეილ ვაშაძის სახით ქართული თეატრს სერიოზული ძალა ჰყავს. შეუძლებელია გენახათ მ. ვაშაძის პლატონ სამანიშვილი („სამანიშვილის დედინაცვალი"), ხრიშუა („ოპტიმისტური ტრაგედია"), ბახა გუჯაბიძე („ცხოვრება კაცისა") და არ მოხიბლულიყავით ხელოვნების ამ სრულქმნილი სახეებით. იმდენად ღრმაა და უშუალო, იმდენად მართალია და უბრალო მისი თამაში, რომ ზოგჯერ შეიძლება ეჭვიც კი შეგეპაროთ — ნუთუ ეს გარდასახვაა, ეს ხომ ნამდვილად იმათ ქცევა არის, ვისაც თამაშობს, ხომ არ გაუჭირდება თავი „დაადწიოს" ამ „სამოსელს" და შემდეგ ახალი მოირგოს? ნახავთ ახალ სახეში და ეს ეჭვი უმალ გაგიქარწყლდებათ. ნამდვილად ნიჭიერი გარდასახვაა! უნიჭო მსახიობი იპოვის ერთ რომელიმე სახეს, რაღაც გაწგების ძალით მოერგება ის და შემდეგ მას თავს ვეღარ აღწევს, — იმეორებს, იმეორებს და ვერ ხვდება, რომ არც საკუთარ თავს და არც ხელოვნებას არაფერს მატებს.

პლატონ სამანიშვილით მსახიობმა ჩინებულად გადმოგვცა გმირის სულიერი დრამა; მამაპაპეული გაყოფის შიშით შეძრწუნებულ პლატონს თავზარს დასცემს ქვრივი მამის გაწზრახვა — ცოლი შეიროთო. იგი სწუხს, მოსვენებას ჰკარგავს, იქამდე ბოროტდება, რომ, სინდისი რომ არ აწუხებდეს, მამა არ ებრალებოდეს და ხალხისა არ ერიდებოდეს, შურსაც კი იძიებს. მთელ ამ ტრაგიკულ თავგადასავალს, მძაფრ სულიერ ტანჯვას მსახიობი უაღრესად ბუნებრივად, დამახასიათებელი შტრიხებითა და ნიუანსებით იძლევა. მისი სცენური სახე შემოქმედებითი ძიებითა და ოსტატობით არის აღბეჭდილი. მის ხრიშუაშიც („ოპტიმისტური ტრაგედია") ნათლად დავინახეთ მსახიობის წვდომისა და განცდის ძალა. მიხეილ ვაშაძის თამაშში მომწონს ტევადი სიმსუბუქე. მისი თამაში, აზრობრივად ღრმაა და გამომსახველი საშუალებებით მსუბუქი, უფრო სწორად, ლაღია, თავისუფალი. დრამატული და კომიკური ფერები ბუნებრივად გადადის ერთმანეთში და ტიპიურ, დამაჯერებელ გამას ქმნის.

სადა, თანმიმდევრულად დასრულებული სახეა მსახიობის ბახა გუჯაბაძე. სცენაზე შემოსვლისთანავე ამ როლში უმალ ვერ შევიცანი მიხეილ ვაშაძე. მე დავინახე მდიდარი პალიტრის ხელოვანი, რომელიც ყოველ თემასთან თამამად მიდის და მისი დამახასიათებელი ნიშნების გადმოსაცემად ადვილად პოულობს შესაფერ ფერებს. მიხეილ ვაშაძე მშვენივრად ახერხებს გმირის სულიერი ავლადიდება. მისი მახინჯი მორალური კოდექსი მთელი სისავსით გიჩვენოთ და მისადმი კრიტიკულად განგაწყოთ. ამას იგი აღწევს როგორც თავისებური ინტონაციით, იუმორით შეზავებული საუბრის კილოთი და ფორმით. ისე. ზუსტი და ზომიერად მეტყველი პლასტიკით.

რადგანაც ეს სახე სპექტაკლში მთავარ გმირთან — სბა ურბნელთან შეპირისპირებით უფრო მკვეთრად იხატება, გვინდა აქ საგანგებოდ ამ გმირის ინტერპრეტაციაზეც შევჩერდეთ (პიესაშიც და სპექტაკლშიც იგი ერთნაირად არის გაგებული). სბა თანმიმდევრულად დადებით გმირად არის ჩაფიქრებული. სბა ცხოვრების რთულ, სიძნელეებით აღსავსე გზას გადის, მაგრამ თავის ზნეობრივ თვალსაზრისს, პატიოსნებას არასოდეს არ ღალატობს. მსახიობი ნ. ჩაჩანიძე ცდილობს ურბნელი რაც შეიძლება კეთილ ადამიანად დაგვიხატოს. ვერ ვიტყვით რომ ის საამისო ფერებს ვერ პოულობდეს. სახე მსახიობს ზუსტად აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი სახის ძიებაში

ივლისში თბილისში საგასტროლოდ იყო ვ. გუნიას სახელმწიფო ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ფოთელებმა ჩვენი დედაქალაქის მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს. მათს ზოგიერთ სპექტაკლს დამსახურებული წარმატება ხვდა. ამ გარემოებამ ნათლად იჩინა თავი 17 ივლისს, როცა სპექტაკლის თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო ფოთის თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა.

განხილვა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დიდუ ანთაძემ.

— ფრიად სასიხარულოა — თქვა დ. ანთაძემ — რომ უკანასკნელ წლებში ძალზე ამალლდა პერიფერიული თეატრების შემოქმედებითი კულტურა. რესპუბლიკის ბევრი თეატრი ჩვენი მაყურებლის აღფრთოვანებულ ტაშს იმსახურებს. ადგილებზე იზრდება კარგი ცვლა ახალგაზრდა რეჟისორებისა და მსახიობებისა. საყურადღებოა ერთი ფაქტიც — რესპუბლიკის პერიფერიული თეატრები წაბაძვით კი არ მუშაობენ და თბილისის თეატრების სპექტაკლების ასლს კი არ იღებენ, არამედ ყოველდღიური, სისტემატური შემოქმედებითი ძიებით ცდილობენ თავიანთი რეპერტუარისა და შემოქმედებითი სახის მონახვას. ამგვარი თეატრების რიგს განეკუთვნება ვ. გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრიც.

დასასრულს დ. ანთაძე ლაპარაკობს:

— დღეს ორ მოხსენებას მოვისმენთ: ალეკო შალუტაშვილისას — „რეპერტუარი და მსახიობი" და მისეული ვიოლინერელისას — „რეჟისორი და მხატვარი". სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ალეკო შალუტაშვილს.

— ჩემი მოხსენების მთავარი თემა იქნება ფოთის თეატრის რეპერტუარის საკითხები — ამბობს ა. შალუტაშვილი. — როგორც ცნობილია, თეატრის რეპერტუარში მეღავნდება კოლექტივის პოზიცია. ფოთის თეატრი ქართული დრამატურგიის მოტრფიალეა. ამ თეატრის რეპერტუარშია ლეო ქიაჩელის, ონნო ვაკელის, როდიონ ქორქიას და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები.

დავიწყებ სპექტაკლით „მე ვხედავ მზეს", რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს თეატრის სხვა ნამუშევრებთან შედარებით. ეს იმიტომ, რომ აქ გამოჩნდა თეატრის მსახიობთა აქტიორული ოსტატობის დონე. სპექტაკლი კარგია და საყურადღებო პროფესიონალიზმის თვალსაზრისით.

შემდეგ ალეკო შალუტაშვილი ლაპარაკობს „მე ვხედავ მზეში" დაკავებული მსახიობების შესახებ, მაღალ შეფასებას აძლევს ლ. გაფრინდაშვილის (სოსოია), გ. ებრაელიძის (ბეჟანა), აკ. ჩხეიძის (ხატია), ნ. კოხტაშვილის (ქეთევანი), ს. ყურაშვილის (მთიკო) და აკ. დობორჯგინიძის (ფოსტალიონი) თამაშს; მათ მოახერხეს პერსონაჟებისათვის შესაბამისი ხალე-

გაგებული და დამუშავებული, მაგრამ ჩვენ პრინციპულად არ ვიზიარებთ დრამატურგის ცალკეული გადახვევას. ამ სახეში შეჭრილი ერთი ყალბი ტონი ისეთსავე გავლენას ახდენს მთელი ნაწარმოების იდეურ გამაზე, როგორსაც, საერთოდ, ერთი კოვზი კუპრი მთელ კასრ თაფლზე. ავტორის წარმოდგენა პატიოსნებასა და პატიოსანზე ძალიან ბუნდოვანია, განუვნებული, დროს და გარემოს მოწყვეტილი. სწყენია, რომ ამ კარგად ჩაფიქრებულ პიესაში მთავარი გმირი ცხოვრებისეული და ნამდვილად დადებითი ადამიანი არ არის, ე. ი. არ არის ისეთი ადამიანი, რომლის ქცევაც წმინდა ადამიანური, ნამდვილი ხალხური ჰუმანიზმის თვალსაზრისით ბოლომდე გამართლებული იყოს.

მაშ როგორია სბა ურბნელი? — არა, უარყოფითი არ არის, მაგრამ არც დადებითი პიროვნებაა და მისი იდეალიზაციის ცდა გაუმართლებელია.

სბა ურბნელი, მწერლის წარმოდგენით, მართალი, კეთილი, საზოგადოებრივად დადებითი პიროვნებას განსახიერებაა, მაგრამ მასში თავდაცვე უგულებელყოფილია აქტიური საწყისი, მოქალაქეობრივი, პატრიოტული მოტივი, ტენდენცია, უკეთესისაკენ სწრაფვა, რაც ადამიანის სიცოცხლეს, მის არსებობას აზრს აძლევს. სბა ცოცხალი ადამიანი კი არა — რობოტია, მას განსჯის, მოვლენის შეფასების უნარი არა აქვს, ხალხის ცხოვრებასთან ცოცხალი ნერვით არ არის დაკავშირებული. დრამატურგის გაგებით ის „თურმე ისეთი კარგი ადამიანია, რომ ტყუილის თქმა არ ეხერხება. აი, მტერმა გადარჩენის გზის ჩვენება მოსთხოვა და მან უყოყმანოდ, სიმართლის სახელით, ისე, რომ არც კი დაფიქრებულა, უჩვენა ეს გზა. რომ უფრო ნათელი გახდეს სბას სახის რაობა, შევადაროთ იგი პოპულარულ ხალხურ პატრიოტულ ლეგენდას თევდორე მღვდელის შესახებ. როგორ მოიქცეოდა სბა თევდორეს ადგილას? — სიმართლის სახელით იგი არც კი დაფიქრდებოდა, ისე გაუძღვებოდა წინ საჭრელთიდან შემოჭრილ დამპყრობელს და ნამდვილ გზას უჩვენებდა, ის ხომ ვერ იცრუებდა! და გაა ეს სამშობლოსა და ხალხის წინაშე ღალატი არ იქნებოდა? მერე და, მოღალატეს რომელი „სიმართლე" გაამართლებდა. განა შეეძლო ასეთ საქციელს იგი ხალხის საუკარელ, იდეალურ გმირად ექცია? განა ასეთ „მართალ" კაცს შეუძლიან აღზარდოს თაობები პატრიოტიზმის სულისკვეთებით. ვის სჭირდება ისეთი „სამართლიანობის" ქადაგება, როცა სამშობლოსა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესები დავიწყებულია. კიდევ კარგი, რომ პიესის სხვა გმირები სბას არ ჰგვანან, მათ თავისი მოქალაქეობრივი ვალი შეგნებული აქვთ და გონებით სჭიან.

როლის ეს ნაკლი მსახიობს საშუალებას არ აძლევს მთელი ძალით გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა.

ეს მხოლოდ სხვათაშორის.

ერემია ქარელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავები გამოენახათ და შთამბეჭდავი სახეები შეექმნათ.

ა. შალუტაშვილი გადადის ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ განხილვაზე და ამბობს:

— დადებითი და უმთავრესი ამ თეატრისა ის არის, რომ თვითეული მსახიობი მიზანსწრაფულად ასრულებს დიდსა თუ ეპიზოდურ როლს. სპექტაკლში „ტარიელ გოლუა“ ჩანს, რომ მსახიობებს სერიოზულად უმუშავნიათ. მე მინდა აღვნიშნო, რომ მთავარი გმირის სახეში მწერალს გადმოცემული აქვს ვლეხის სულიერი ევოლუციის პროცესი და ეს პროცესი დამაკმაყოფილებლად გვიჩვენა მისი როლის შემსრულებელმა გ. ებრალიძემ.

ლეონანის როლი ინსცენირებაში ძალიან სქემატურია, ამიტომ მისი ხორცშესხმა არ არის იოლი. მსახიობს იმაზე მეტი არაფერი შეეძლო რომ მოქმედების დროს ყოფილიყო მართალი, ლოიალური. მან ეს კარგად შეასრულა. მოსაწონი იყო გაიოზ გადალენდიას როლის შემსრულებელი. მსახიობმა ბრწყინვალედ ჩაატარა სიცვდილის სცენა.

მომხსენებელი დადებითად აფასებს ბაჩუას (ელ. მახარაძე), დავითის, ძიძის და სხვათა როლების შემსრულებელი მსახიობების თამაშს.

— ფოთის თეატრი ერთადერთი თეატრია, რომელშაც ხელი მოჰკიდა როდიონ ქორქიას პიესას „ნიკო ნიკოლაძეს“ და მაყურებლისა წინაშე დამაჯერებლად გააცოცხლა დიდი მუმანისტი. ნაწარმოები აქტუალურად ულერს, ავტორი სიყვარულით ეკიდება თავის პერსონაჟებს და ცდილობს მართლად წარმოგვიხახოს ისინი.

ამ სპექტაკლში შესანიშნავია ნიკო ნიკოლაძის სახე, რომელიც კარგად განასახიერა გ. ებრალიძემ. აქტიორი აბერებს სახეს მოუნახოს სცენური გამომსახველობა და მომხიბლავად წარმოგვიდგინოს ის. ნიკოლაძის მდივნის როლის შემსრულებლის მსახიობ ბ. ქუთათელაძის თამაში კეთილშობილებით არის აღსავსე.

ორატორი კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამს სპექტაკლ „მელა და ყურძენზე“.

— სპექტაკლში არ ჩანს როდის დაიწყო ლეას ხიყვარული ეზოპისადმი — ამბობს იგი — ვერ ვნახეთ ეზოპეს ვნება. მე ვერ გავიგე როგორ თამაშობს ასისთავი (მსახიობი მირცხულავა), რა დროს ამეტყველდა ეს კაცი, რა სიტუაციამ აალაპარაკა იგი!

— „აპრაკუნე ჭიმჭიმელმა“, კომედიური ეანრის ამ მნიშვნელოვანმა ნაწარმოებმა — განაგრძობს მომხსენებელი — შესანიშნავი განხორციელება ჰპოვა ფოთის თეატრში. მე მოვიხიბლე და ძალიან მომეწონა ცენტრალური როლის შემსრულებელი გ. ებრალიძე, რომელსაც დიდი კომიკური ექსპრეიით და დანაშიკით მიჰყავს როლი. ცენტრალური სახის ლოგიკა გაჟღერებულია კარგად.

— გასტროლები ჩატარდა კარგად. — ამბობს დასასრულს მომხსენებელი.—კოლექტივმა წარმატებები მოიპოვა, მაგრამ მან არ უნდა შეანელოს შემოქმედებითი ძიების გზნება, განუხრელად უნდა იბრძოლოს საკუთარი სახის სრულყოფისათვის, უფრო მაღალი სასცენო კულტურისათვის.

თავისი მოხსენების შესავალ ნაწილში მიხეილ გაეიმურელი ლაპარაკობს თეატრის ხელმძღვანელობის უნარიან მუშაობაზე. თეატრი სათუთად უფრთხილდება ადრე განხორციელებულ სპექტაკლებს. ამის საილუსტრაციოდ იგი ახახელებს გ. ეურულის მიერ რამდენიმე წლის წინათ შექმნილ სპექტაკლს „აპრაკუნე ჭიმჭიმელს“. შემდეგ იგი ეხება ფიგეირედის პიესას „მელა და ყურძენი“ — და ამბობს:

— ახალგაზრდა რეჟისორმა გამოიყენა ამ პიესის ხაბჯოთა სცენაზე დადგმის გამოცდილება და, ამავე დროს, შეეცადა თავისი დამოკიდებულება გამოეხატა. ახალგაზრდა რეჟისორის მუშაობაში განსაკუთრებით ყურადსაღებია როლების განაწილების უნარი. მაწესაკმაო სიცხადით გვიჩვენა, რომ კარგად შეუძლია სპექტაკლის ორგანიზაცია. ასევე კარგად იყენებს სცენიური მოქმედების არეს და მიზანსცენირების პლასტიურ მხარეს. ყოველივე ეს ლაპარაკობს მისი, როგორც რეჟისორის, ღირსებაზე. სპექტაკლი მთლიანად დადებით შეფასებას იმსახურებს.

— სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“,—ამბობს მომხსენებელი, — საოცარი მთლიანობით გამოირჩევა, რეჟისორულადაც კარგად არის დადგმული. იგრძნობა შოქმედების დინამიკა, ხასიათების ზუსტი მიგნება. კომედიური ხასიათის სპექტაკლში ხშირად ადგილი აქვს გადაჭარბებას. ამ სპექტაკლში კი ამას ვერ ნახავთ. ეს კი არა მარტო მსახიობთა, რეჟისორის ნაოსტატარიცაა.

მიხ. გიეიმურელი ლაპარაკობს რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხზე, რომელმაც ამ სპექტაკლში იჩინა თავი. ქებით იხსენიებს სპექტაკლს „ნიკო ნიკოლაძე“, დადებითად აფასებს რეჟისორისა და მსახიობთა მუშაობას. მაგრამ არ მოსწონს სპექტაკლის მხატვრული გაფორმება და ამბობს:

— სპექტაკლი, რომელიც ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებას ეხება, — არ შეიძლებოდა ასეთი გაფორმებით გაგვეშვა. ჩვენ ვნახეთ ამ როლის შესანიშნავი შემსრულებელი, რეჟისორმა გამონახა მსახიობი და ვერ მოძებნა ამ სახის ღირსეული ჩარჩო. უნდა მოგეწვიათ მხატვარი და სპექტაკლი უკეთესად გაგეფორმებინათ.

დრამატურგი იონა ვაკელი:

ფოთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა თბილისს აჩვენა თავისი შემოქმედება — რეპერტუარი, რეჟისურა და მსახიობთა ოსტატობა. აჩვენა თავისი სახე. ბოლოს, როგორც იქნა გატყდა ნავსი. თეატრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკრძალებით გვიჩვენა თავი და უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ამაოდ ეკრძალებოდა დედაქალაქის მაყურებელს. მას შეეძლო თბილისისათვის თამამად ეჩვენებინა თავისი შემოქმედება.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვიქტორ ნინიძე ლაპარაკობს სამ სპექტაკლზე, ეხება „მე ვხედავ მზეს", „ტერეზე გოლუას", „ნიკო ნიკოლაძეს" და აღნიშნავს, რომ ფოთის თეატრმა ჩინებულად ჩააბარა დიდი გამოცდა თბილისში. ვ. ნინიძე განსაკუთრებული ქებით იხსენიებს ნიკო ნიკოლაძის როლის შემსრულებელს გ. ებრალიძეს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვახტანგ ტაბლიაშვილი დადებითად აფასებს სპექტაკლ „ნიკო ნიკოლაძეს". ეკამათება მ. გიეიმყრელს ზოგიერთი შენიშვნის გამო და აღნიშნავს, — პერიფერიულ თეატრებს რომ მეტ ეკონომიურ დახმარებას ვუწევდეთ მაშინ ჩვენი მოთხოვნებიც გამართლებული იქნება.

დრამატურგი ვახო პატარაია ლაპარაკობს ნიკო ნიკოლაძის დიდ ღვაწლზე ქართული კულტურის განვითარების საქმეში და მიუსალმება იმ ფაქტს, რომ ფოთის თეატრმა განახორციელა ამ დიდი ადამიანის ცხოვრების ერთი პერიოდის ამსახველი სპექტაკლი.

პიესა „ნიკო ნიკოლაძეს" ავტორი, დრამატურგი როდიონ ქორქია ლაპარაკობს პიესის შექმნის ისტორიაზე, იგონებს ნიკო ნიკოლაძესთან შეხვედრებს და მადლობას უხდის თეატრს, რომელიც სიყვარულითა და ენთუზიაზმით მოეკიდა ამ სპექტაკლის დადგმას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი დავით ჩხეიძე თავის გამოსვლაში ლაპარაკობს იმაზე, თუ როიდენ კეთილშობილური საქმე გაკეთა ფოთის თეატრმა „ნიკო ნიკოლაძის" დადგმით. იგი ქებით იხსენიებს ამ სპექტაკლს და აგრეთვე „მე ვხედავ მზეს", რომლის ბევრი სცენა ფოთის თეატრში უფრო საყურადღებოა, ვიდრე სხვა თეატრებში.

სიტყვა ეძლევა ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილს პროფესორ რუხუდან ნიკოლაძეს. იგი მადლობას უხდის ფოთის თეატრის კოლექტივს ამ სპექტაკლის განხორციელებისათვის და იგონებს მამის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდს. ამავე დროს, დამსწრეთ უზიარებს მოგონებებს იმის თაობაზე, თუ როგორ აშენებდა ფოთის თეატრს ნიკო ნიკოლაძე.

სიტყვა ეძლევა ვალერიან გუნიას შვილიშვილს გოგი გუნიას. იგი ფოთის თეატრს გადასცემს ვ. გუნიას რამდენიმე დოკუმენტს.

ვ. გუნიას სახელობის ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სინო კალანდარიშვილი მადლობას უხდის თბილისელ მაყურებელს გულთბილი შეხვედრისათვის. შემდეგ აყენებს წინადადებას, რომ გაგრძელდეს კარგი თაოსნობა და ადგილებზე სისტემატურად მოეწყოს ხოლმე საუკეთესო სპექტაკლების დათვალიერება. მოწონებული სპექტაკლები კი 3 წელიწადში ერთხელ ჩამოტანილ იქნას თბილისში.

განხილვა შეაჯამა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ანთაძემ.

ნახევარი საუკუნე ხალხის სამსახურში

მიმდინარე წლის ზაფხულის ერთ საღამოს, რუსთაველის გამზირზე ჩემს წინ მიმავალი, შავ კოსტუმში გამოწყობილი მხნე მამაკაცი შევნიშნე. იგი ჯოხით ხელში ენერგიულად მიაბიჯებდა. ავტობუსის გაჩერებასთან რომ შედგა, მაშინვე ვიცანი. ეს ჩვენი გიორგი ბუხნიკაშვილი იყო, რომელსაც შინაურულად გუგულის ვეძახით.

გუგული ბუხნიკაშვილი პირველად რუსთაველის თეატრში გავიცანი, სადაც იგი დირექტორად მუშაობდა. მაშინ ახლადჩამოყალიბებული იყო ექსპერიმენტული სტუდია-სახელოსნო, რომელსაც გამოჩენილი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი ხელმძღვანელობდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდად დატვირთული იყო, გუგული სტუდიელ ახალგაზრდა მსახიობებისთვისაც ყოველთვის იცლიდა და მათ მშობლიურ მზრუნველობას უწევდა.

მეტად საინტერესოა გუგული ბუხნიკაშვილის ბიოგრაფია. გორელმა ბიჭმა ბავშვობიდანვე შეიყვარა თეატრი. ჯერ ცამეტი წლისაც არ იყო, რომ სცენაზე თამაში დაიწყო. მისმა სცენისმოყვარეობამ საერთო ყურადღება მიიქცია, ყველას გულწრფელად უხაროდა სამსახიობო ასპარეზზე მისი პირველი ნაბიჯის თამამად გადადგმა. სურამისა და ხაშურის ძველ მოღვაწეებს დღესაც კარგად ახსოვთ ზოგიერთი სახასიათო როლის გუგულისეული განსახიერება. 1917 წელს თბილისის სცენაზედაც ითამაშა. ამ მხრივ ნაძალადევის მუშათა კლუბი პირველი იყო, რომელმაც ახალგაზდა მსახიობს გზა დაუღოცა.

მიუხედავად იმისა, რომ გუგულის ყველა მონაცემი ჰქონდა კარგი დრამატული მსახიობი დამდგარიყო (კარეგნობა, ხმა, სცენური მომხიბლლობა და სხვა), მან მაინც სხვა გზა აირჩია. ეს იყო თეატრმცოდნის, თეატრის ის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრალური ინსტიტუტის სიახლენი

დიდი მზადებაა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. უკვე ჩატარდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც განხილულ მრავალი პრობლემატური საკითხი. თეატრისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე საინტერესო მოხსენებით წარსდგა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნ. ზალუტაშვილი. მისი მოხსენების თემა იყო „უკრაინული დრამატურგია ქართულ საბჭოთა თეატრის სცენაზე". ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა დ. ჯანელიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე — „საბჭოთა წლებში ქართული თეატრის ისტორიის როგორც მეცნიერების განვითარების ახალი საფეხური". ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი შ. გოგიძე შეეხო „ადგილობრივ მეჩრდილე რაზმის გამოსვლების მოსკოველის ბრძოლებზე".

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა ავრეთვე სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების XX სამეცნიერო კონფერენცია. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი მასალები თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ; საერთო მოწონება ხვდა სამსახიობო ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის შ. ბაკურაძის ნაბეჭდვარს „ვ. ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ" (ხელმძღვანელი უფროსი მასწავლებელი შ. გოგიძე), საყურადღებო იყო თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის რ. ბოჭორიშვილის თემა — „ინოკენტი სმოკტუნოვსკი — საბჭოთა ეპოქის მსახიობი" (ხელმძღვანელი დოც. ე. გოგუშვილი). მუსიკმეცნიერ განყოფილების V კურსის სტუდენტმა ა. ჯიქიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ვ. ი. ლენინი და მუსიკა" (ხელმძღვანელი უფროსი მასწავლებელი ნ. ქათარაძე). თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა ნ. დევიძემ განიხილა თანამედროვეობის პრობლემები პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიაში (ხელმძღვანელი პროფესორი დ. ჯანელიძე)...

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებისაგან შემდგარ კომისიას დაეკალა ორი მხატვრული მონტაჟის მომზადება. საკმაო დარბაზში გამართულ საღამოზე სტუდენტები წარმოადგენენ საბჭოთა დრამატურგიის პირველ ქმნილებებსა და ცალკეულ სკენებს შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებიდან. ქორეოგრაფიული განყოფილების სტუდენტები გამოვლენ სპალიტო ნომრებით.

სასწავლო პროგრამაკ მთლიანად იუბილეს ეძღვნება. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. პატარაია ეს ორსულოვნად დგამს ა. ყოფეერის პიესას — „სასკოლის უმაღლესი ზომა". რეჟისორი ვ. სარჩიმელიძე — ლ. კრუჩკოსკის „თვალისუფლების პირველი დღეს". ა. თავზარაშვილი სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხე კურსელებთან ამზადებს ვ. რიზოვის „ორწყნების დღეს" და სხვ.

დიდი ოქტომბრის იუბილეს მიეძღვნა ინსტიტუტის სამსახიობო, თეატრმცოდნეობისა და მუსიკალური კომედიის ფაკულტეტის 20 წარჩინებული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკაზე ჩიხოსლოვაკიაში გამგზავრება. ისინი მოიმზადა ეკატერინა ქვიდანაში 20 დღის დაინებინან. სამაგიეროდ, სპასუხნო ვიზიტით ჩვენს ინსტიტუტში ჩეხი სტუდენტები ჩამოვლენ.

ქართველმა სტუდენტებმა ჩეხ მეგობრებს სანაქებოდ წაუღეს შოთა რუსთაველის პორტრეტი, ინსტიტუტის სარეფერენციო კოლეგიის მიერ გამოკეთილი ე. მარჯანიშვილისადმი მიძღვნილი ორტრეტიანი და სხვა საჩასოვრო სანიკრები.

პრაღელოვნ თბილისს ოქტომბრის მეორე ნახევარში ეწვევიან.

თეატრალური ინსტიტუტის ცხოვრებაში არის ერთი სასიამოვნო სიახლეკ. ამას წინათ ყარაჩაელთა და ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქიდან დირექციის სახელზე წერილი მოვიდა, ისინი ითხოვდნენ საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში მათთვის გახსნილიყო სამსახიობო განყოფილება. ამასთან დაკავშირებით, ინსტიტუტის კომისია აღნიშნულ ოლქში გაეგზავნა.

კომისიის წევრებმა შეარჩიეს 20 ნიჭიერი ახალგაზრდა. ახლა განზრახულია ორი ჯგუფის დაკომპლექტება. ოთხ წლის შემდეგ ინსტიტუტში აღზრდილი მსახიობები საფუძველს ჩაუყრიან ყარაჩაელთა და ჩერქეზთა ეროვნულ თეატრებს.

ახალი სასწავლო წლიდან ინსტიტუტში სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებისაგან შეიქმნა ექსპერიმენტალური ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, **რეჟისორი** მ. თუმანიშვილი. ლექციებს სასკენო მეტყველებაში წაიკითხავს დოკენტი ბ. ნიკოლაიშვილი. დანაბრჩენი საგნებს სწავლობა ჩვეულებრივად წარმართვება.

ამჟამად ინსტიტუტში რეჟისურულად ტარდება ლექციების ციკლი „ქართული საბჭოთა თეატრი 50 წლის მანძილზე". აღსანიშნავია, რომ ლექციების ციკლში თეატრის პრობლემატურ საკითხებთან ერთად ეხება ხელოვნების სხვა დარგები: კინო, სახვითი ხელოვნება, მხატვრობა.

ნოემბრის პირველ რიცხვებში განზრახულია ჩატარდეს კონკურსი მხატვრულ კითხვასა და ლეკალში, რომელშიც ჩაებმებიან ყველა თეატრალურ სტუდენტები.

თამაზ ანთაძე

ტორიკოსის, მკვლევარისა და მწერალ-დრამატურგის გზა, რის სამსახურსაც ნახევარი საუკუნე შესწირა.

გუგული ბუხნიკაშვილმა მრავალმხრივი ნიჭიერება ადრევე გამოამჟღავნა. შემოქმედებით მუშაობას იგი ორგანულად უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხაშურისა და თბილისის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების საქმიანობაში, ქართულ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის, დრამატული საზ. და კომპოზიტორთა კავშირის ჩამოყალიბებაში, თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლის შექმნაში, საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსებაში და სხვ. გუგული ბუხნიკაშვილმა შექმნა სატირის თეატრი, ხელმძღვანელობდა თბილისის სამხატვრო აკადემიას, ხელოვნების მუზეუმს „მეტეხს".

გუგულიმ მწერლობაში იუმორისტის ნიჭიც გამოამჟღავნა. მრავალი გონებამახვილური და საღი სიცილის მომგვრელი სატიროული ხასიათის სცენები და სკეტჩები გამოაქვეყნა ჟურნალ „ეშმაკის მათრახში" და საღამოს „კაპიკიან გაზეთში". საინტერესო სტატიებს წერდა „თეატრსა და ცხოვრებაში", ჰქმნიდა პიესებს, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ქართული საბჭოთა თეატრის გარიჟრაჟზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი კომედია „შეშინებული ანთიმოზი", რომელიც დაიწერა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში. „კი, მაგრამ!", „მენშევიკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ახლად შექმნილ სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებას პორტფელში აქვს ცნობილ ქართველ მოღვაწეთა სინტერესო მოგონებები, რომლებიც თავის დროზე მზის სინათლეს იხილავენ. ამ მოგონებებიდან ჩვენ გვინდა „თეატრალური მოამბის" მკითხველს ჭაშნიკი გავასინჯოთ.

ამბეჭდავთ ნაწყვეტებს გამოჩენილი ქართველი რეჟისორის მიხეილ ქორელისა და სცენისმოუკარის იოანე გიგოშვილის მოგონებებიდან.

მსირე მოგონება დიდ კომპოზიტორზე

— წავიდეთ, მიხეილ, ზაქარიას ვეხტუმროთ, ესაა მოვნება. ქუთაისური ბერელი კუპატით გაგვიმასპინძლდება.

— რომელი ზაქარია?

— ფალიაშვილი. ქუთაისის კათოლიკეების ეკლესიის ორგანისტის შვილი, აქ, კონსერვატორიაში სწავლობს მუსიკის თეორიის დარგში, არ იცნობ?

— ახალი ჩამოსული ვარ, ჯერ არ ვიცნობ.

— აქაურმა სტუდენტებმა ეგრე იცით — ჩამოხვალთ და ერთი-მეორის გაცნობა-დაახლოება არ გინდათ. სათვისტომოში შეხვალთ და ხან პოლიტიკური მსჯელობის დროს ჩხუბობთ, ხან ქართული საღამოების მოწყობისას ერთიმეორეს ეცილებით გამგეობაში ვინ შეეკარ. იხე კი დაჭხაკულნი ხართ! — მწუხარებით მეუბნებოდა ხანდრო კვალიაშვილი, საზოგადოება „კახეთის" რწმუნებული მოსკოვში.

ხანდრო მოხეტიალის თითქმის მკვიდრი იყო. სტუდენტებმა ქართველების „მამიდა" დაარქვეს. მართლაც, ძალიან კარგი ქართველი იყო, მოსკოვს კარგად იცნობდა და ახლადჩამოსულ სტუდენტებს ყოველნაირად ხელს უწყობდა. მოდამ ჩობა ეცვა. ნამდვილი ქართული გარეგნობის პატრონს ქართულ საღამოებში მობდენილი ლეკურით მოსკოვის საზოგადოება აღფრთოვანებაში მოჰყავდა.

* *

წავედით. კიბეზე და დერეფანში ნელი აკორდები მოგვესმა. აკორდი აკორდს მიხდევდა, იცვლებოდა, მინორიდან მაჟორზე გადადიოდა და ქართული მუსიკალური სტილით თავდებოდა.

— დიდ მუსიკალურ სმენას არ დავიკვეხნი. — თქვა სანდრომ, — მაგრამ ვგრძნობ, რომ ქართული მუსიკაა. ძალიან სერიოზულად მეცადინეობს... დარწმუნებული ვარ, კარგ სახელს მოიხვეჭს...

შევედით. დიდი სალისით შეგვხვდა.

— დაბრძანდით, ახლავე სამოვარს შევუკეთავ.

განჯინიდან ხმელი კუპატი და კომში გამოიტანა.

— შეექეცით. ჩვენებურია. გუშინ მივიღე...

ოთახს გადავხედე. სადა და მყუდრო იყო, სუფთად დალაგებული.

— ოთახს შენ თვითონ ალაგებ, ზაქრო? — ჰკითხა სანდრომ.

— მე თვითონ... პატარაობიდანვე დაჩვეული ვარ. დაულაგებელ ოთახში მუშაობას ვერ ვახერხებ.

— აბა, ჩვენებური სტუდენტის ოთახში შეიხედე... ლოგინი ანგრეულია, ფეხსაცმელი მაგიდაზეა, წიგნები კი მაგიდის ქვეშ უყრია...

ზაქარიამ გაიღიმა და არაფერი არ უპასუხა.

— ეს-ეს არის უკრავდით... ხელი ხომ არ შეგიშალეთ? განაგრძეთ...

— არა, არა, ვვარჯიშობდი...

— ქართული აკორდები მესმოდა და...

— დიაღ, გამოიცანით — სიამოვნებით აღნიშნა მან. — ქართულ ჰანგებს ვამუშავებ... ჩემთვის.

— რა მიზნით?

ბი პარიზში", „ასე იყო..." (რევოლუციური ქრონიკა), „ნაბიჭვარი" და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გუგული ბუხნიკაშვილის პიესების დადგმაზე მუშაობდნენ დიდი ქართველი რეჟისორები კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი. „ნაბიჭვარის" დადგმას ანხორციელებდა სანდრო ახმეტელი, „კი, მაგრამ!" — ქუთაისში დადგა კოტე მარჯანიშვილმა 1929 წელს, რომელშიც თეატრის წამყვანი მსახიობები მონაწილეობდნენ.

გუგული ბუხნიკაშვილი ფუძემდებელია საქართველოს თეატრალური მუზეუმისაც, რომლის დირექტორადაც დღემდე მუშაობს.

გუგული ბუხნიკაშვილი მთელი რიგი მონოგრაფიების, გამოკვლევების, მრავალი წერილისა და თეატრალური რეცენზიის ავტორია. ჩვენს თეატრალურ მუშაკებს დიდ სამსახურს უწევს აგრეთვე გუგული ბუხნიკაშვილის მიერ ხანგრძლივი შრომის შედეგად შექმნილი კატალოგი.

გუგულის მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია „სუმბათაშვილ-იუჟინი რუსეთში", „გ. სუნდუკიანცი და სომეხ-ქართველთა თეატრალური კავშირი" და „მცირე თეატრი საქართველოში". ამ უკანასკნელმა რუსული თეატრის კორიფეს ა. იაბლოჩკინას გულწრფელი მოწონება დაიმსახურა.

დიდია გუგული ბუხნიკაშვილის დამსახურება ქართული თეატრის, ქართული კულტურის წინაშე. რისთვისაც ჩვენი საზოგადოებრიობა მისი დაბადების დღეს გულწრფელი მადლიერების გრძნობით აღნიშნავს.

ნიკოლოზ კევლიშვილი

— კონსერვატორიაში ევროპული და რუსული მუსიკაა გამეფებული. პროფესორები მიკრძალავენ კიდეც ქართულ ჰანგებზე ვარჯიშს. გემოვნება გაგიფუჭდებათო. მე მაინც ჩემსას განვაგრძობ. ევროპული ღ რუსული მუსიკის ძირითად კანონებს ვეცნობი, ქართულ ხალხურ მუსიკას ვადარებ...

— და?

— ჩვენი სიმღერები ყოველთვის თავისებურია, სხვა ხალხის სიმღერებს სრულებით არა ჰგავს. მაინტერესებს მათი შექმნის საფუძვლები, ზრდისა და განვითარების გზები და მეთოდები. ჯერ ევროპული მუსიკის განვითარების მეთოდებს დავეუფლები, შემდეგ ჩვენი მუსიკისას. მერე კი...

გატაცებით ლაპარაკობდა. ეტყობოდა მის გონებაში რაღაც იდუმალი აზრები, განზრახვები მეტყველებდნენ.

— მერე?

პასუხად პიანინოს მიუჯდა. იმპროვიზაციას ჰგავდა. აქა-იქ კახური მრავალჟამიერის, ზაშვი კაკაბის და ალიფაშას ხმები ისმოდა. ამავე დროს მთლიან რასმე წარმოადგენდა. უცებ შეწყვიტა.

— ხედავთ, რა სიძლიერე, რა ფერებია ამ ხმებში! განძი აქვს ჩვენს ხალხს!

ადელდა, პიანინოს მიუბრუნდა და თავისი იმპროვიზაცია განაგრძო. რაღაც ძლიერი, ღრმა, მუსიკალური ენით მოთხრობილი ამბავი ისმოდა. ახლა ვიგონებ და ვფიქრობ: ვინ იცის, იქნებ სწორედ ბაშინ ჩაესახა მომავალი „აბესალომის“ ან „დაისის“ პირველი მუსიკალური ფრაზები!

როდესაც დაამთავრა, სანდრომ აღტაცებით წამოიძახა:

— შენ გენაცვალე, ზაქრო, შენა! გაიხარე! თვალი დავხუჭე და ჩემი თავი საქართველოში მეგონს! შენი ხმირი შეწუხება და გაცდენა არ მინდა, თორემ ყოველდღე ვივლიდი და შენს, როგორც შენ ამბობ, ვარჯიშს მოვუსმენდი!

ზაქარიას, ეტყობოდა, ესიამოვნა სანდროს აღფრთოვანებული სიტყვები, მაგრამ მორცხვად იყო.

მთელი საათი დავრჩით. საუბარი ისევ მუსიკის გარშემო ტრიალებდა. ზაქარიას ყურადღება რამე სხვა საგნის ანკესზე ვერ ავაგეთ. ცოტა ხნის შემდეგ საათს დახედა. მიეხედი, რომ მასინჯელი სადღაც წასვლას აპირებს და ხელი არ უნდა შევუშალოთ.

— აბა, სანდრო, წავიდეთ, შენი არ ვიცი, მე კი „მხატ“-ში ვაპირებ. — ვუთხარი სანდროს.

— წავიდეთ, მე შინ მივდივარ.

— ნუ გეწყინებათ და მეც მეჩქარება: კონცერტზე მივდივარ და, ცოტა არ იყოს, ვღელავ.

— რატომ?

— დღეს ვაგნერია... ტანჰეიზერის უვერტურა... ვაძლიერებული ორკესტრი... ნიკიში დირიჟორობს...* ორკესტრი ისე მიჰყავს რომ ნაწარმოების მთელ სიძლიერეს და სიღრმეს გადაგვაშლის... ჩქარა წავიდეთ, მეშინია არ დავაგვიანო. დაწყების შემდეგ არავის არ შეუშვებენ. ამასწინათ, ერთი პროფესორი არ შეუშვეს... დაგაგვიანა. ნიკიში ძალიან მკაცრია...

და ისევ საათს დახედა.

ძალიან ჩქარი ნაბიჯით მივდიოდით. გზად შეკვეთითი:

— ვაგნერი და ტანჰეიზერის უვერტურა გიყვართ?

— ოო, რასაკვირველია. განსაკუთრებით, უვერტურა. ამ ნაწარმოებში ავტორი ხალხის სუნთქვით სუნთქავს და მსმენელიც ამ სულისთქმას ადვილად იზიარებს. ნეტავი ჩვენს მუსიკასაც ეღირსებოდეს ოდესმე ასეთივე სიძლიერის კომპოზიტორი. განა ამის ღირსნი არა ვართ?...

საკონცერტო დარბაზს რომ ვუახლოვდებოდით, ზაქარია კითხვებზე არეულად გვასუხობდა. მისი ფიქრი უკვე დარბაზში იყო. საჩქაროდ გადმოიხედა:

— მაპატიეთ, ვაგვიანებ! — და გაიქცა.

მეორე დღეს ქუჩაში შევხვდით. ძალიან მოწყენილი ჩანდა.

— მიუსწარით? — ვკითხე.

— ვერა... არ შემიშვეს... არაფრის დიდებით არ შემიშვეს... ეს ნაწარმოები ხომ ზეპირად ვიცი, მაგრამ დეტალები, ნიუანსები...

ისეთი სევდიანი სახე ჰქონდა, რომ ძალიან შევწუხდი. ისე გამოდიოდა, თითქო ჩვენი ბრალი ყოფილიყო. ბოდიშსაც ვერ მოვიხდიდით, არაფერი არ დაგვიშაველია. არც გვესაყვედურებოდა. მძიმე სიჩუმე სანდრომ დაარღვია.

— ბავშვი ხომ არა ხარ? ნიუანსები... დიდი ამბავი! შენ სხვა მითხარი: დღეს გამოცდები უნდა გკონდა... როგორ არის საქმე?

— კარგად. უძნელესი საგნები ძალიან კარგად ჩავაბარე. სულ უმნიშვნელო დამრჩა.

— ჰოდა, ძალიან კარგი. მთავარი ეს არის, შენ კი ერთი კონცერტი გამოტოვე და... ნიუანსები!

ზაქარიამ გაიღიმა:

— მართალი ხარ, მთავარი ეს არის, მაგრამ...

— ბევრს მეცადინეობ, დაღლილი იქნები...

— საკმაოდ...

— მაშ, იცი რა გითხრა, ცოტა უნდა დაისვენო... უნდა გაგამზეურო.

1901 წლის გაზაფხული იყო, განსაკუთრებული სილამაზის გაზაფხული.

— მოდი, ზეგ ქალაქგარეთ წავიდეთ, წვანეზე, ცოტა საგზალი წავიღოთ, იქ ბუნების წიაღში ცოტას დისვენებ და... ნიუანსებსაც დავივწყებ...

— სიამოვნებით ვამოვალ, მაგრამ ვინ იქნება? თუ ბევრი ხალხი და სმა იქნება, მაშინ ვერ...

— აი, შენ, მიხეილი, ჩემი კარგი მეგობარი — კოლა ჯავახიშვილი და მე, სხვა არავინ. სმა არ იქნება, რაც შეეხება ფუქსავატ ლაპარაკს — შე დალოცვილო, ზოგჯერ ფუქსავატი ლაპარაკიც მოგიხდება თორემ...

დანიშნულ დღეს, დილით კურსკის ვაგზალზე ვიყავით, მატარებლის წასვლამდე ბევრი დრო იყო.

სანდრო ბილეთების საყიდლად წავიდა. ჩვენ ვიცდიდით. რამდენიმე წუთის შემდეგ ოთხი ქართველი სტუდენტი შემოგვიერთდა.

— საით? — იკითხეს.

---

* ასე მახსოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალაქგარეთ, დასასვენებლად...

— ძალიან კარგი, ჩვენც წამოვალთ! — და ბილეთების შესაძენად წავიდნენ. ერთი წუთიც არ გასულა, კიდევ ორი შემოგვემატა. უარს ხომ ვერ ვეტყოდი. მოვედა სანდრო ბილეთებით ხელში, სხვებიც მოვიდნენ.

სანდრომ სტუმრებს გადახედა და მკითხა:

— ზაქარია სად არის?

— ზაქარია იქ აღარ იყო. სანდრო ქუჩისკენ გაიქცა, მაგრამ მალე დაბრუნდა.

— არა ჩანს... დარწმუნებული ვარ გაგვიქცა.

— აი, ასეთი ხასიათი აქვს. კარჩაკეტილობა ჩვეულია.

— მაშ, ჩვენ თვითონ წავალთ. რა ვქნა, უსაქმოდ ყოფნა არ უყვარს.

ვიგონებ ამ ამბავს, ვიგონებ როგორ ღელავდა ზაქარია ვაგნერის კონცერტის წინ და როდესაც „აბესალომის“ უვერტურას ვისმენ, მაშინვე ვაგნერი მომაგონდება ხოლმე — ამ უვერტურაში ისეთივე სიძლიერე, ისეთივე სიღრმე იგრძნობა.

მიხეილ ჟორელი

მოლოდინს გადაეჯარბა

თბილისში რომ დავბრუნდი, მეორე დღესვე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში იოსებ იმედაშვილთან მივედი, ვუჩვენე ჩემი ძვირფასი საჩუქარი — ჰაჯიბეგოვის სურათი და ავტორის ნებართვა „არშინ მალ-ალანის“ ქართულად თარგმნის შესახებ. ი. იმედაშვილმა დიდად გიიხარა, გამარჯვება მომილოცა და მითხრა:

— ახლავე წადი და დადგმის ნებართვაც აიღე.

მაშინვე წავედი. ნებართვა მომცეს. მოველაპარაკე მსახიობ შაქრო ჯომელაურსა და მურაშკოვისა და არაქსიანის თეატრის მუდმივ სცენისმოყვარეებს: მოსე ჯანველოვს, მაშო მარგველაშვილს, ნიკო მირველოვს, ილა ფეიქაროვს, იოსებ რევაზოვს, ნატალია ნადირაძეს, გაიანე ურბნელს (ცნობილი მსახიობის იუზა ზარდალიშვილის მეუღლე). როლები ასე განაწილდა:

ასკარი — მოსე ჯანველოვი
სულთანბეგი — იოსებ რევაზოვი
სულეიმანი — შაქრო გომელაური
ვალი — ნიკო მირველოვი
გულჩორა — მაშო მარგველაშვილი
ასია — ნატალია ნადირაძე
ხალა — ილა ფეიქროშვილი
თელი — გაიანე ურბნელი

პრემიერის გასამართავად სათანადო შენობა იყო საჭირო. მივმართე არაქსიანის თეატრის დირექტორს, მსახიობ აბო ხარაზიანს (მაშინ ის განაგებდა ავლაბრის თეატრს). ხარაზიანი დამთანხმდა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ქორას წინასწარ, სპექტაკლის წინადღეს შევიტანდი. რა გზა მქონდა, ესეც, როგორც იყო, მოვახერხე — ქორა მთლიანად გადავიხადე. სპექტაკლის გამართვის დღედ დავნიშნეთ აღდგომის ორშაბათი — 1916 წლის 11 აპრილი. ეს დღე ხელს არ მაძლევდა, რადგან ქართველი ხალხი ქრისტიანულ დღესასწაულს ზეიმობდა და, ჩემი აზრით, ძალიან ცოტას თუ გაუწევდა გული თეატრისაკენ. მაგრამ აბო ხარაზიანმა თავის თეატრში სხვა დღე არ დამითმო.

„არშინ მალ-ალანის“ პრემიერის გამართვა ქართველ საზოგადოებას ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ აუწყა...

უკვე ოთხი საათი სრულდებოდა, მთელი დასი თეატრში იყო, სალაროში კი ჯერ ერთი ბილეთიც არ გაყიდულიყო. თითქოს მართლდებოდა ჩემი შიში, მაგრამ ექვსი საათისთვის იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ მალე არც ერთი ბილეთი არ დარჩა, თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო. კარის დაკეტვის შემდეგ დიდხანს ვერ მოვახერხეთ სპექტაკლის დაწყება, კარეთ დარჩენილნი მოსვენებას არ გვაძლევდნენ, კარის დამტვრევით გვემუქრებოდნენ. მე და ჩემი მეგობრები ტაბილმწარე სიხარულს განვიცდიდით: გვიხაროდა, რომ საზოგადოება ასეთ ინტერესს იჩენდა ჩვენი დადგმისადმი. მაგრამ, ამავე დროს, გვაკანკალებდა, ვაი თუ კარი მართლა შემოამტვრიონ და წარმოდგენა ჩაგვეშალოს. ბოლოს, რაკი ხალხის მოზღვავება გასაქანს არ გვაძლევდა, მივმართე თეატრის დირექტორს აბო ხაზარიანს და გადავწყვიტეთ შესასვლელი ბილეთებიც გაგვეყიდა. ამან ცოტა შეღავათი მოგვცა და ფარდაც აიხადა.

სპექტაკლი ბრწყინვალედ დაიწყო, ყველა მოქმედება ტაშის გრიალში მიმდინარეობდა. არ ვიცი რას მიეწერებოდა ასეთი წარმატება. ცხადია, მსახიობები კარგად თამაშობდნენ, მაგრამ წარმატების მთავარი მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ ქართველ საზოგადოებას მშობლიურ ენაზე პირველად ესმოდა ოპერეტა. წარმოდგენა გვიან ღამით დამთავრდა, ტაში ოვაციად იქცა და ჩემი სცენაზე გამოსვლა მოითხოვეს. ხალხი კმაყოფილებით შემომცქეროდა და მეც ვგრძნობდი, რომ ქართველი მაყურებლის თვალში გაიმარჯვა დიდი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის ოპერეტამ. იმ ღამეს ვინ საით გვეპატიჟებოდა, აღარ მახსოვს. ესეც რომ არ ყოფილიყო, იმდენად კარგი შემოსავალი დაგვრჩა, რომ ჩვენი თანხაც სავსებით საკმარისი იყო, რათა დამქანცველი შრომის შემდეგ რომელიმე კარგ რესტორანში მოგველხინა.

ივანე გიგოშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გვახარებს, რა გვანუხებს

ლილი იოსელიანი

გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო
დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

გულახდილად ვიტყვი, დღეს ძალიან გართულდა პერიფერიის თეატრებში მუშაობა. ამას მრავალი მიზეზი აქვს და ახლა შეუძლებელია ყველა ამ მიზეზის ჩამოთვლა, ერთერთი მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ პერიფერიის თეატრს აკლია დედაქალაქის, აქაური თეატრებისა და კრიტიკოსების, ჟურნალებისა და გაზეთების ყურადღება, თბილი სიტყვა. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის რაიონების თეატრების მსახიობები, შეიძლება ითქვას, გმირულ შრომას ეწევიან, ამ შრომას კი მეტი დაფასება უნდა. დარწმუნებული ვარ, რომ პერიფერიის თეატრებში ბევრი პირველხარისხოვანი მსახიობი მუშაობს, მაგრამ ზოგჯერ ამ მსახიობებს გაცილებით ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ვიდრე დედაქალაქის თეატრის მესამეხარისხოვან მსახიობს, თანაც, პერიფერიის თეატრის მსახიობი, დღეში ორ და, შეიძლება, სამ სპექტაკლშიც გამოდიოდეს.

აი, ახლა, ამ დღეებში რუმინეთში საგასტროლოდ მიემგზავრება რუსთაველის სახელობის თეატრი. ეს ძალიან კარგი და მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ რატომ არ შეიძლება პერიფერიის თეატრებიც გადიოდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში, თუნდაც ამ ქვეყნების პერიფერიებში, მჯერა, არც ამ შემთხვევაში მოეცხება ლაქა ქართული თეატრის სახელს. ეს კი არა, რატომღაც პერიფერიის თეატრების სპექტაკლების თბილისში ჩამოტანაც კი, ძნელი გახდა.

ამჯერად გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი მუშაობს გორკის პიესაზე „მდაბიონი". ამ სპექტაკლს სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის — მ. გორკის დაბადების 100 წლისთავს მივუძღვნით. მალე დავიწყებთ მუშაობას ა. ოსტროვსკის პიესაზე „შემოსავლიანი ადგილი". ჩვენ ეს ნაწარმოები უაღრესად თანამედროვედ მიგვაჩნია და ამიტომაც თანამედროვეობის თვალთახედვით შევხედავთ მას. გეგმაში გვაქვს აგრეთვე ბრეხტის „კეთილი სეზუანელი კაცის" განხორციელება.

იუსუფ კოგალაძე

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი ახლა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების რთულ პროცესს განიცდის — თეატრში მოვიდა ახალგაზრდობა. იგი თანდათანობით იჭერს კუთვნილ ადგილს და, რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოა, სხვადასხვა თაობის მსახიობები და რეჟისორები შეხმატკბილებულად მუშაობენ. ეს კი თეატრის მთავარი რეჟისორის თეიმურაზ აბაშიძის უნარიან მუშაობაზეცაა დამოკიდებული.

ახლა ჩვენი თეატრი თბილისში საგასტროლოდ ემზადება. ჩამოვიტანთ ოთხ სპექტაკლს. კარგა ხანია ბათუმის თეატრი თბილისში არ ჩამოსულა და გვაინტერესებს დედაქალაქელთა აზრი ჩვენს სპექტაკლებზე.

ახლახან დავდგით აკაკი გეწაძის პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში", რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მივუძღვენით. განზრახულია გვაქვს წარმოვადგინოთ პიესა, რომელშიც ნაჩვენები იქნება აჭარის მშრომელების ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი დანაკლისი

რა საოცარია ბუნება! ჯერ კიდევ სულ რაჰდენიმე თვის წინათ მაყურებელი ტაშს უკრავდა საყვარელ მსახიობს, რომლის ხელოვნება ჩვენი ეპოქის წამყვან და პროგრესულ იდეებს ემსახურებოდა.

სიკვდილის წინა დღეს „ძია ბაღდასარის" შემსრულებელმა სამუდამოდ შესწყვიტა უშუალო კონტაქტი მაყურებელთან, გარდაისახა და წავიდა ჩვენგან კარგი მოქალაქე და მსახიობი, რომელიც დიდი შთაგონებით ჰქმნიდა დაუვიწყარ სცენურ სახეებს.

ამბობენ, მოკვდავიაო მსახიობის ხელოვნება, ამიტომ ადამიანებს არ შეუძლიათ უშუალოდ განიცადონ ის, რასაც მსახიობი ოდესღაც დიდი შემოქმედებით ქმნიდა, მათ შესახებ მხოლოდ ისტორიკოსის ნაზრევი რჩებაო.

და ეს მართალია. ის, რაც თავიდანვე დაჰბედებია ხელოვნების სხვა ჟანრებს შეუძლებელია მსახიობის შემოქმედებისათვის. მსახიობის ხელოვნება ცოცხლობს მხოლოდ გარკვეულ პერიოდში, იმ თანამედროვეობაში, რომელშიც იგი უშუალოდ ჰქმნის თავის ხელოვნებას.

მსახიობის სცენიდან წასვლისთანავე მისი შემოქმედებაც კვდება. არის ერთი საშუალება მსახიობის შემოქმედების ნაირსახეობის შენარჩუნების ან სიცოცხლის გახანგრძლივებისა: ფოტო-ფირფიტაზე აღბეჭდვა, რადიო, ტელევიზია. მაგრამ ისიც ძალზე ცოტა ხნით; ესეც ძველდება, ხუნდება, იცრიცება და ჰკარგავს ზემოქმედების ცხოველმყოფელობას. ეს მაინც არ არის სამარადჟამო.

და განა ბევრია ჩაწერილი და შემონახული, თუნდაც, კაკო კვანტალიანის გონებამახვილური ჰუმორის ცოცხალი ნიმუშები? თუ არის, ისინი მაინც ვერ მისცემენ სრულ წარმოდგენას მომავალ თაობებს იმ საოცარ ენამოსწრებულობაზე, რაც ახასიათებდა და კოლორიტულს ხდიდა კაკო კვანტალიანის შემოქმედებას.

მე მახსოვს კაკო კვანტალიანის უკანასკნელი საზეიმო სიტყვა მედეა ჯაფარიძის შემოქმედების საღამოზე. კაკომ მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით და დიდის ტაქტით მიმართა იუბილარს და ერთხელ კიდევ მოაგონა, რომ მსახიობის ყველაზე დიდი სამკაული მისი მოქალაქეობრიობაა, რაც უხვად გაგაჩნია შენ, ჩვენო ძვირფასო მედეა—უთხრა კაკომ.— მაღალ ნიჭთან ერთად შენი კდემამოსილებით, უბრალოებით. ქალური ქალობით მუდამ ხიბლავდი, დღესაც ხიბლავ და აჯადოებ მაყურებელს, როგორც სცენიდან ისე ცხოვრებაში, შენ მისაბაძი ამხანაგი ხარ მთელს ჩვენს დიდ შემოქმედებითს კოლექტივში. ნეტავი მე ვიყო ისეთი როგორიც შენ ხარ, — გაიხუმრა კაკომ და ტაში და ღიმილი მოსწყვიტა მაყურებელთა დარბაზს.

ეს არ იყო კაკოს ლიტონი სიტყვა. სწორედ, რომ ასეთი იყო თვითონ, ეს ჩვეები ახასიათებდა მას. ეს იყო მისი მრწამსი და აკი მაყურებელიც მიუხვდა იდუმალ თქმას და ღიმილით და ტაშით დააჯილდოვა კიდეც.

მე ძალიან კარგად ვიცნობდი საქართველოს სახალხო არტისტს კაკო კვანტალიანს. ჩვენ, მრავალი წლების მანძილზე ხშირად გვიხდებოდა კონცერტებზე გამოსვლა, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის გარეთ, იგი, თავის თანამონაწილე ალ. გომელაურთან ერთად, შესანიშნავი ფელეტონებით, მამხილებელი სკეტჩებით, გონებამახვილური იუმორით, მე კი — ჩემი სიმღერებით.

ამბობენ, ადამიანის კარგად გასაცნობად საუცხოო საშუალება ერთად მოგზაურობა და საერთო საცხოვრებელიაო. და აი, რომ ვაკვირდებოდი კაკოს, ამ წლების მანძილზე, მე შევიცნობდი მასში კეთილშობილ ამხანაგს, გულისხმიერ ადამიანს. ჩემზე იგი უაღრესად კულტურული, თავმდაბალი, ყოველმხრივ განათლებული მსახიობის შთაბეჭდილებას სტოვებდა. კაკო იყო მეგობრის მოყვასი, გულკეთილი, სხვათა დამხმარე, ყველაფრის ამტანი, ამხანაგის გამტანი, ქართული კულტურისა და ხელოვნებისათვის თავდადებული მუშაკი, რაზედაც აშკარად მეტყველებენ მის მიერ შექმნილი დაუვიწყარი სცენური მხატვრული სახეები თეატრში, კინოში თუ ესტრადაზე.

ამას წინათ კაკო კვანტალიანის თანატოლ ერთ მსახიობს შევხვდი. როდესაც მას კაკოს უდროოდ და მოულოდნელად დაღუპვის გამო ჩემი გულისტკივილი გავუზიარე, მან მიპასუხა:

—ეხ, თქვენ არ იცით, რა ძვირფასი ადამიანი და ამხანაგი დაჰკარგა ჩვენმა თეატრმა. ჩვენი კაკო ხომ მთელი წლების მანძილზე მარჯანიშვილის თეატრის მღელვარე შემოქმედებითი ცხოვრების დაუცხრომელი, აქტიური მონაწილე იყო. იგი მტკიცედ იბრძოდა მაღალი თეატრალური პრინციპების განსამტკიცებლად. მერე და როგორ უყვარდა თეატრი, სცენა, მსახიობები, ნიჭიერი ახალგაზრდობა. თეატრის თვითეული მუშაკი. ამხანაგისთვის სულს არ დაიშურებდა, ნაცნობ-მეგობრებისთვის თავს არ დაზოგავდა, გაჭირვებაში მიეხმარებოდა, საქმეში არ დაზარდებოდა. გულისხმიერებით იყო სავსე და ამით ვვხიბლავდა, ვვესიყვარულებოდა. ჩვენც ამავე სიყვარულით ვუპასუხებდით ძვირფას კაკოს, თითქოს ერთი შეხედვით მძიმეს და კუშტს, მაგრამ ვინც დაუახლოვდებოდა, ახლოს გაიცნობდა, კაკო ყველაზე უმჩატესი წონისა და შუბლგახსნილი, გულღია ადამიანი იყო. კაკოს თანდაყოლილი იუმორის გრძნობით სიმსუბუქე, სიცოცხლე და მხიარულება შემოჰქონდა კოლექტივში. თავისი უწყინარი, უმტკივნეულო ხუმრობით ამხანაგ მსახიობებს, შემოქმედების მძიმე წუთებშიც. ბალისით აღავსებდაო.

მსახიობისაგან ამხანაგი მსახიობის ასეთი დახასიათება ყველაზე უძვირფასესი რეცენზიაა. და ეს ჩვენი უნებლიე საუბარი დადასტურება იყო კაკოზე ჩემი შეხედულებისა და შთაბეჭდილებისა, როგორც მოქალაქეზე და მსახიობზე. მით უფრო სევდით ვიმსჭვალები კარგი მეგობრის, ნიჭიერი მსახიობის [illegible]ოდ დაღუპვის გამო.

აქვე მახსენდება ერთი ეპიზოდი: ერთ დიდ მეგობრულ ნადიმზე კაკო თამადათ იჯდა სუფრის თავში, თანამესუფრეთ არ აკლდათ მხიარულება, სიმღერა, ცეკვა, კაკოს ოხუნჯობა და ენამოსწრებული რეპლიკები. ამ სუფრაზე ერთი ახლადგარდაცვლილი ახალგაზრდის შესანდობარიც შეისვა. ერთი წამით მაგიდის წევრებმა მოიწყინეს, დასევდიანდნენ, სიჩუმე ჩამოდგა. ამ სამგლოვიარო გარინდებაში, მასპინძელმა შემწვარი გოჭი შემოიტანა. კაკომ მონადიმეთ გადახედა, ერთი ომახიანად დასტყივლა და ეკსპრომტად ლექსად დაამღერა:

„გამხიარულდით ბიჭებო,
მოვიდა სუფრის ბატონი
არ გამაგონოთ სიკვდილი
იმას მოუკვდა პატრონი.

სუფრა უმალ გამხიარულდა და სიცოცხლის მოყვარული თამადის სიტყვები ტაშის გრიალმა დაჰფარა.

„სიკვდილს მოუკვდა პატრონი“... თეატრალური საზოგადოებრიობა და ქართველი მაყურებელი გულისტკივილით გამოეთხოვა მრავალი სიხარულის მომნიჭებელს, მხატვრული სიტყვის ოსტატს, სიცოცხლის მომღერალ საყვარელ მსახიობს და მოქალაქეს, რომლისაგან კიდევ მრავალ ბრწყინვალე ვაჟკაცობას ელოდა ქართული თეატრი, კინო და ესტრადა.

მიხეილ ყვარელაშვილი
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

აქტიორის სახლი

კიდევ ერთი, უადრესად დიდი საქმე წამოიწყო საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ. სოხუმში, შავი ზღვის სანაპიროზე მსახიობთა დასასვენებელი სახლის მშენებლობა დამთავრებულიც კი არ იყო, რომ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა დაიწყო ზრუნვა ჩვენს რესპუბლიკაში პირველად აეგო „აქტიორის სახლი“. და აი, სიტყვა საქმედ იქცა — საქართველოს თეატრალური საზოგადოების ბაღში, რომელიც კიროვის ქუჩაზეა, უკვე აგუგუნდნენ ბულდოზორები, დაინგრა ფიცრული შენობა და იწყება ახლის აშენება. „აქტიორის სახლის“ აშენებასა და გათვალისწინებული იქნება თანამედროვე არქიტექტურის მიღწევები.

„აქტიორის სახლი“ სამსართულიანი იქნება. აქ განლაგდება რესტორანი, 500 კაცისათვის განკუთვნილი მაყურებელთა დარბაზი და სცენა, აქვე მოთავსდება საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის აპარატი და საწარმოო განყოფილება.

განზრახულია, რომ „აქტიორის სახლის“ აგება მომავალი წლის შემოდგომაზე დამთავრდეს.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

17 სექტემბერს 110 წელი შესრულდა გამოჩენილი მსახიობისა და დრამატურგის ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილის (სუმბათოვ-იუჟინის) დაბადებიდან. ჩვენმა მემამულემ მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება რუსეთში გაატარა და რუსულ თეატრს წარუშლელი კვალი დაჩნია. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მთელი დამოუკიდებელი თავია რუსული თეატრის ისტორიისა. იგი ორმოცდახუთი წლის მანძილზე გატაცებით, უსაზღვრო სიყვარულითა და თავდადებით ემსახურებოდა თეატრს, რომელსაც ხელოვნების ყველაზე სრულყოფილ ფორმად თვლიდა. მას მიაჩნდა, რომ ხელოვნების არც ერთ დარგს არ შეუძლია განასახიეროს ადამიანის ცოცხალი სული ისე მართლად, ისე მღელვარედ, ისე ლამაზად და გულში ჩამწვდომად, როგორც თეატრს.

„თეატრი — ამბობდა იგი — ადამიანის ცოცხალ სულს ქმნის არა უსულო ფუნჯით, არა ფოლადის კალმით ან საჭრეთლით, არამედ ცოცხალი განცდების თრთოლვით, ცოცხალი თვალების ელვარებით, ცოცხალი ხმის რხევით, მწუხარებითა და სიხარულით, სიცილითა და ცრემლებით, ჰქმნის არა მელნით, საღებავებითა და თიხით, არამედ თვით შემოქმედის სისხლითა და კუნთებით“.

თეატრს ა. სუმბათაშვილი ცოცხალი ცხოვრების ხელოვნებას უწოდებდა. იგი აღნიშნავდა, რომ ადამიანის ემოციებზე ზემოქმედების ძალით მას ხელოვნების ვერც ერთი დარგი ვერ შეედრებაო.

ალექსანდრე სუმბათაშვილმა მსახიობობა უძველესი რუსული პროვინციის იაროსლავლის თეატრიდან დაიწყო, მალე მოსკოვის მცირე თეატრში გადმოვიდა და თავისი ბრწყინვალე ნიჭით, დიდი კულტურით სწრაფად მიიქცია ყურადღება. საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა და მცირე თეატრის ბურჯად იქცა. მან არა მხოლოდ თეორიულად გაიზიარა, არამედ პრაქტიკულადაც დაიცვა და განავითარა მცირე თეატრის ეგრეთწოდებული-რომანტიკული მიმართულება. თვითონ აქტიორულ ხელოვნებაში ამ მიმართულების ერთი ყველაზე მკაფიო გამომხატველი იყო. მრავალი წლის მანძილზე ა. იუჟინი სათავეში ედგა მცირე თეატრს და განსაზღვრავდა მის მხატვრულ სტილსა და იდეურ მიმართულებას.

ალექსანდრე სუმბათოვ-იუჟინი თეატრით ცხოვრობდა. იგი არა მხოლოდ იცნობდა და გატაცებული იყო სასცენო ხელოვნებით, არამედ მთელი არსებით გრძნობდა და განიცდიდა მას. თეატრი ა. იუჟინის სულის შემადგენელი

ᲛᲘᲔᲥᲫᲕᲜᲐ ᲜᲘᲙᲝ ᲥᲣᲛᲡᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

„მთელი ჩემი ცხოვრება, ცოდნა, ნიჭი და გამოცდილება შემიწირია და ვწირავ საზოგადოებრივ მუშაობას. არ ყოფილა შემთხვევა მე ამ აზრისათვის მეღალატოს, არ ყოფილა შემთხვევა ჩემი პირადი კეთილდღეობა საზოგადოების კეთილდღეობაზე მაღლა დამეყენებინოს“.—წერდა თავის დღიურში ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ნიკო ქუმსიაშვილი.

დიახ, ასეთი იყო ნიკოს ცხოვრებისა და შემოქმედების დევიზი. მისი სიტყვა და საქმე ყველგან და ყოველთვის ერთი იყო. მის ადამიანურ კეთილშობილებას მუდამ თან სდევდა მამულისადმი სიყვარული. დაუვიწყარია მისი ღვაწლი, იგი, როგორც ადამიანი და შემოქმედი, როგორც მეგობარი და მოქალაქე ყველასათვის საყვარელი იყო.

ამ სიყვარულმა მოიყვანა ნიკოს მეგობრები და კოლეგები, ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, ნათესავები და ახლობლები ნიკო ქუმსიაშვილის მოსაგონარ საღამოზე, რომელიც მიმდინარე წლის 25 სექტემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლმა მოაწყო.

თავის შესავალ სიტყვაში, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დოდო ანთაძემ ილაპარაკა ნ. ქუმსიაშვილის დიდ დამსახურებაზე ქართული საოპერო ხელოვნების განვითარების საქმეში, დაახასიათა მისი შემოქმედება და საზოგადო მოღვაწეობა.

— ნიკო ქუმსიაშვილი — თქვა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **დიმიტრი მჭედლი-**

ნაწილი იყო და არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დრამატურგად იგი სწორედ თეატრის სიყვარულმა, თეატრის საჭიროებამ, მისი განვითარების ინტერესებმა აქცია.

ალექსანდრე სუმბათაშვილი — ეს ბრწყინვალე მსახიობი, შესანიშნავი დრამატურგი, სიტყვის ნამდვილი ოსტატი იყო. მან 16 პიესა დაწერა და აქედან უმრავლესობა მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა როგორც იმდროინდელი რუსეთის, ისე უცხოეთის თეატრების სცენაზე. მისი პიესები დაწერილია დიდი მხატვრული გზნებით და გამორჩევა იშვიათი სცენიურობით. მკვლევარები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მისი პიესები დაწერილია დიდი მსახიობის მიერ, რომელმაც ბრწყინვალედ იცის სცენაც და მაყურებლის ფსიქოლოგიის თავისებურებაც. დრამატურგს არ ეშინიან ღია სცენური ეფექტების, გმირთა მკაფიო გრძნობებისა და განცდების, ფერადოვანი, მაგრამ კეთილშობილი აზრებით აღსავსე მონოლოგების, კეთილი და ბოროტი საწყისების პირდაპირი კონტრასტულობის. ყოველი როლი სუმბათაშვილის პიესებისა მკაფიოა, ლაკონური, დახვეწილი და ადამიანური ვნებებით აღსავსე, სიტყვა-ღრმაა და შთამბეჭდავი.

ალექსანდრე სუმბათაშვილი რუსულად წერდა, მაგრამ მისმა პიესებმა ქართული თეატრის განვითარებაზეც თვალსაჩინო „გავლენა" იქონია. იმ დღიდან, როცა პირველად „ღალატი" ითარგმნა — ეს პიესა ქართულ სცენას არ მოშორებია, იგი დღესაც წარმატებით იდგმება და თანამედროვე მაყურებელსაც აღელვებს და იტაცებს. „ღალატი" რუსულად არის დაწერილი, მაგრამ ნამდვილი ქართული პიესაა ხასიათებითაც, ფიქრთა სწრაფვითაც და განცდების თავისებურებებითაც. იგი ჩვენს რეპერტუარში ორიგინალურივით დამკვიდრდა, და არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ სცენიური ღირსებით, ლიტერატურული ძალით, ისტორიულ ვითარებათა და ხასიათების წარმოსახვის სიმართლით, ტიპიურობით მას ჩვენს დრამატურგიაში ჯერ კიდევ ბადალი არ გააჩნია.

ალექსანდრე სუმბათაშვილს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე სხვა მხრივაც მიუძღვის დიდი ამაგი. უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ, რომ მცირე თეატრის მესვეური ჩვენი სამშობლოს წარგზავნილივით იყო და არასოდეს არ გვივიწყებდა. იგი უზარმაზარი სახელითა და გავლენით სარგებლობდა და თუ კი ვინმე ქართველი სამშობლოს საკეთილდღეოდ, საქვეყნო საქმისათვის გატაცებული, — ქართული საოპერო ხელოვნების მშვენება და მისი უბადლო წარმომადგენელი იყო. ვანო სარაჯიშვილის სიკვდილის შემდეგ ნიკომ თავისი მხრებით ატარა ქართული ვოკალური ხელოვნების განვითარების მძიმე ჯაჯანი, ცდილობდა ევროპის ვოკალური სკოლის სიმაღლემდე აეყვანა იგი, რამაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენი კომპოზიტორებისა და ვოკალისტების შემოქმედებით წინსვლას. იგი ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია ქართული ოპერის მომღერალთა მესამე თაობისა, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მშობლიურ ოპერას და, საერთოდ, ქართულ სიმღერებს, რომელსაც აღტაცებაში მოყავდა არა მარტო ქართველი მსმენელები, არამედ ჩვენი დიადი ქვეყნის მოძმე ერებისა და უცხოეთის ადამიანებიც.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პავლე კანდელაკმა ილაპარაკა ნიკო ქუმსიაშვილის კონსერვატორიაში სწავლის პერიოდზე.

— ნიკო ყველაზე უფროსი იყო თანაკურსელთა შორის, — ამბობს იგი, — მაგრამ გულითადად მეგობრობდა ახალგაზრდობასთან და მათაც უნერგავდა სწავლისადმი ინტერესს. ნიკო იყო არა მარტო შესანიშნავი ხელოვანი, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწეც. ისეთივე გულწრფელი და დაუდეგარი იყო საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, როგორც თავის შემოქმედებაში.

საინტერესო მოგონებით გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბათუ კრავეიშვილი.

— ნიკო ქუმსიაშვილი — ამბობს იგი — ქარიშხლიან მთას მოგვაგონებდა. მას ფრთები მთასავით ჰქონდა გაშლილი, გული კი მთის კლდესავით მაგარი. ვაჟა თუ პოეზიაში იყო გაბუმერანგელი, ნიკო — სიმღერაში. ნიკო სიყვარულს თესავდა საზოგადოებაში. იგი ყოველთვის ეხმარებოდა ახალგაზრდებს და იბრძოდა მათი დაფნიანურებისათვის. პირადად ჩემზე დიდი ამაგი მიუძღვის. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ნიკომ მშობლიურ ხელოვნებას შორს გაუთქვა სახელი. მახსოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული, თეატრის სიყვარულით გულანთებული მასთან დახმარებისათვის მივიდოდა, იგი აუცილებლად იგრძნობდა ამ დიდი ადამიანის მამობრივ ზრუნვას.

დიდი მსახიობი, დრამატურგი და თეატრის დიდი პრაქტიკული მოღვაწე, იმავე დროს, თეატრის ისტორიკოსი, ნიჭიერი პუბლიცისტი და იშვიათი ორატორი იყო. იგი მსმენელს ლამაზი გარეგნობითა და მიმზიდველი ხმით იპყრობდა.

მთელი სიცოცხლე ალექსანდრე სუმბათაშვილმა მსახიობის ღირსებისათვის ბრძოლას მოახმარა. იგი ხედავდა, რომ რუსეთში მაშინ მსახიობის პროფესია აბუჩად აგდებული იყო. მაღალი წრიდან გამოსულმა უშუალოდ განიცადა იმდროინდელ საზოგადოებაში გაბატონებული ეს დამამცირებელი დამოკიდებულება.

ალექსანდრე სუმბათაშვილმა პირველი აქტიორული ნაბიჯებივე იმის რწმენით დაიწყო, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა მსახიობი ჩვენშიც გაიკაფავდა გზას და საზოგადოებაში იმ ადგილს დაიჭერდა, რისი სრული უფლებაც მას ჰქონდა თავისი საქმით — საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მსახურის, მოღვაწის ადგილს.

დიდი მსახიობის ეს რწმენა წინასწარმეტყველური აღმოჩნდა... ოქტომბრის რევოლუციამ მსახიობს მისცა ის, რაზეც ადრე მას ოცნებაც კი უჭირდა.

მართალია, ოქტომბრის რევოლუციის იდეებიდან სუმბათაშვილისათვის ბევრი რამ ბოლომდე გაუგებარი დარჩა. მაგრამ რევოლუცია მაინც უყოყმანოდ მიიღო, რადგან აშკარად დაინახა მისი ხალხური ხასიათი, დაინახა, რომ სწორედ ამ რევოლუციას შეეძლო მსახიობის ღირსების დაცვა, საზოგადოებაში მისი მოქალაქეობრივი უფლებების გაზრდა, თავისუფალი ადამიანის სულიერი ამაღლება და შემოქმედებითი შთაგონება.

ალექსანდრე სუმბათაშვილმა მთელი ცხოვრება ლამაზად გაატარა და მისი სიკვდილიც იშვიათად ლამაზი იყო, თუ კი შეიძლება, საერთოდ, სიკვდილს ლამაზი ეწოდოს.

1927 წლის ზაფხული დადგა. ალექსანდრე ივანეს ძე მეუღლით ნიცაში გაემგზავრა დასასვენებლად და სამკურნალოდ. ეს მისი უკანასკნელი ზაფხული იყო.

„1927 წლის 17 სექტემბერს ალექსანდრე ივანეს ძე, როგორც ყოველთვის, ადრე ადგა, — იგონებს მეუღლე. — ამ დღეს მას სამოცდაათი წელი შეუსრულდა. მე მივულოცე, და ალექსანდრე ივანეს ძემ მითხრა:

გასტროლები ლენინის ქალაქში — ლენინგრადელებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს ნიკოს ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ ყაზარმის სცენის დამთავრების შემდეგ. იგი თოთხმეტჯერ გამოიძახეს ფარდის წინ. როცა ნიკოს ჰკითხეს, რამდენი ხანი იყავით იტალიაშო, მან უპასუხა: იტალია მე მხოლოდ რუქაზე თუ მინახავს, თბილისში, პროფესორ ე. რიადნოვთან ვსწავლობდიო. „პიკის ქალში“ გერმანის როლის შემსრულებლები ნ. პეჩკოვსკი და ი. ერშოვი ნიკოს გამარჯვებას ულოცავდნენ, ეხვეოდნენ და კოცნიდნენ.

—25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ არის ნიკო ქუმსიაშვილი,—ამბობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი მიხეილ ყვარელაშვილი, — მაგრამ ჩემს ყურებში დღესაც ჟღერს მომხიბვლელი, სალამურა, მომაჯადოებელი ხმა. მისი გულში ჩამწვდომი ლირიულ-დრამატული ლამაზი ტენორი მუდამ ხიბლავდა მსმენელებს. ნ. ქუმსიაშვილი იყო ქართული ოპერის გამარჯვებაც და სახარულიც. ნიკო იბრძოდა მაღალი მხატვრულობისათვის. ამიტომ მეტად მკაცრი იყო როგორც თავისი თავის, ისე სპექტაკლის სხვა მონაწილეთა მიმართაც.

— ნიკო ქუმსიაშვილი ამბობდა, — დასძენს ყვარელაშვილი, — რომ ოპერაში მთავარია ხმა, ამიტომ საჭიროა, თვითეულმა მომღერალმა გამოიმუშაოს სიმღერის უმაღლესი კულტურა, რადგან მსმენელი არა მარტო მომღერლის ხმის სიძლიერითაა დაინტერესებული, არამედ ყოველი ბგერის შინაარსით, მომღერალი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მხატვრულად გადმოსცეს ესა თუ ის ნაწარმოები, მოჰგვაროს მსმენელს ესთეტიკური სიამოვნებაო. უნდა ითქვას, რომ ამ ჭეშმარიტებას პირველ რიგში ნიკო იცავდა და ანხორციელებდა კიდევაც. მის მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს არასოდეს დაავიწყდებათ ის წარმატება, რომელიც ჩვენმა საოპერო თეატრმა მოიპოვა 1936 წელს მოსკოვში, ამ წარმატებაში უთუოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიკო ქუმსიაშვილს.

აი, რას წერს იგი ამ დღეების შესახებ თავის დღიურში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღღეს მე თავს განსაკუთრებით კარგად ვგრძნობ, და მე მინდა, რომ ჩემი სამოცდაათი წლისთავზე „რაფაელი“ დავამთავრო“. ჩვენ ყველა დავლიეთ. ალექსანდრე ივანეს ძე საწერ მაგიდას მიუჯდა, პორთფელიდან პიესის ხელნაწერი ამოიღო, მე კი, ხელი რომ არ შემეშალა მისთვის, მაღაზიაში წავედი აუცილებელი რამეების საყიდლად. როცა უკან დავბრუნდი, ალექსანდრე ივანეს ძე მაგიდასთან იჯდა, თავი საკარძლის მაღალ საზურგეზე გადაეგდო, თვალები დახუჭული ჰქონდა. მე ხელში ავიღე მისი ხელი, ის ცივი იყო, მაჯისცემა აღარ იგრძნობოდა. სასწრაფოდ გამოვიძახეთ ექიმი, რომელმაც აღნიშნა, რომ ალექსანდრე ივანეს ძე უკვე მკვდარი იყო. მაგიდაზე უკანასკნელ გვერდზე გადაშლილი „რაფაელის“ ხელნაწერი იდო, რომლის ბოლოსაც ავტორის ხელით ეწერა: „დასასრული“. „რაფაელი“ დამთავრებული იყო“.

ასე. დაამთავრა თავისი უკანასკნელი პიესა, რომელიც ჩაფიქრებული და დაწყებული ჰქონდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, გააყოლა მას უკანასკნელი ფიქრები, ოცნება, თითქმის ორმოც წელს რომ ატარებდა გულით, და სიცოცხლეც — ვრცელი, ლამაზი, შთაგონებული და შინაარსიანი სიცოცხლეც დაასრულა.

ე. ქ.

ჩვენი სტუმრები

სექტემბრის პირველ რიცხვებში საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმს ესტუმრენ ლიტვის თეატრალური საზოგადოების წარმოგზავნილები — თეატრალური საზოგადოების უფროსი კონსულტანტი ელენა იაკუჩიონენე, კონსულტანტები კუნე ანგელატე და ვალერია კასპერავიჩიუტე. ლიტველი სტუმრები, რომლებიც თბილისში ჩამოსვლამდე მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის დედაქალაქებში იმოყოფებოდნენ, ჩვენს დედაქალაქს ეწვივნენ იმისათვის, რათა შემდგომში უფრო გაღრმავდეს ლიტვისა და საქართველოს თეატრალური ურთიერთობა, მოეწყოს ხელოვნების მუშაკთა დელეგაციების გაცვლა.

ლიტვის თეატრალური საზოგადოების მიერ მოვლინებული სტუმრები ბიძიდ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

დ. ანთაძემ და ლიტველმა სტუმრებმა ისაუბრეს ლიტვისა და საქართველოს თეატრალური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების საკითხებზე. ლიტველი კოლეგების მიერ წამოწყებული თაოსნობის დიდ მნიშვნელობასა და მისი კვალიფიციურად ჩატარების აუცილებლობაზე. ლიტველები საქართველოში გამოგზავნიან ხელოვნების ოსტატთა წარმომადგენლებს, რომლებიც აქ შემოქმედებით საღამოებს გამართავენ, შეხვდებიან თბილისის მშრომელებს და თეატრის მოღვაწეებს. საქართველოს თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლები ასეთსავე ღონისძიებებს გამართავენ ლიტვის დედაქალაქში.

გადაწყდა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდეს ახალი წლის პირველ თვეებში.

ლიტველმა სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისისა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობანი, დაესწრენ რუსთაველის თეატრის სპექტაკლ „გვადი ბიგვას“.

„ქართული დეკადა „დაისით“ დაწყო. ოპერის შესავლის დაწყებამდე ხალხით გაჭედილ დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, აყღერდა „დაისის“ პირველი ბგერები. რა ვირტუოზულად მიჰყავდა ორკესტრი ევგენი მიქელაძეს! როცა უვერტურა დამთავრდა, ისეთმა ტაშმა აგრიალა, ვიფიქრე ჭექა-ქუხილი ამოვარდა მეთქი... ვიდრე ჩემი „ბედის ვარსკვლავი“ დაიწყებოდა, ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა თავში: უნდა შემღერა ისე, როგორც არასოდეს, რადგან ვალდებული ვიყავი ჩემი ქვეყნის წინაშე, ვცდილობდი არ შემერცხვინა ის ხალხი, რომელიც დიდ იმედს ამყარებდა თვითეულ ჩვენგანზე. თითქოს სამშობლოს განუსაზღვრელმა სიყვარულმა მოაზღვავო ჩემში ის ძალა და ენერგია, რასაც იქ— მოსკოვში დიდი თეატრის სცენაზე ვიჩენდი, მიკვირდა თვითონაც. ხმასთან ერთად თითქოს ფიზიკური ძალა და გამბედაობაც ბრმემატა და მთელი ჩემი არსებით ვცდილობდი უნაკლოდ გამეტანა ლელო“.

დიახ, ნიკო ქუმსიაშვილმა ბრწყინვალედ გაიტანა ლელო. მოსკოვის გაზეთები მეორე დღეს უხვად ბეჭდავდნენ სტატიებსა და რეცენზიებს, რომლებშიც ქება-დიდებით იხსენიებდნენ მრავალსაუკუნოვან ქართულ ხელოვნებას. ბევრს წერდნენ ნ. ქუმსიაშვილზედაც. მათ შორის „კომსომოლსკაია პრავდაში“ ვ. გოროდეცკი წერდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპეტიციები ნაქალაქევში

რუსთავის ახლადშექმნილი თეატრი, აქვე, უძველეს ცხე ქალაქ ნაქალაქევში გადისო რეპეტიციებს. — გვითხრეს ცხაკაიაში.

ნაქალაქევი არც ისე შორს იყო და ავტობუსით გავემართე. ნაქალაქევში ჩამოსულს თითქმის გავიწყდება, რომ ახლა შუა ზაფხულია, თბილისში სიცხისაგან ასფალტი ლღვება და ადამიანი მზისაგან მოღლილ-მოქანცული დაბიჯებს ქუჩებში.

თეატრი საშუალო სკოლის შენობაშია დაბანაკებული. რეპეტიციისაგან თავისუფალი მსახიობები ჭადრების ჩრდილში ჩამომსხდარან და მხიარულად საუბრობენ. ზოგი კი ცალკე გამდგარა და ახალი როლების ავკარგზე კამათობენ.

სარეპეტიციო დარბაზში არიან რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი გიგა ლორთქიფანიძე, ახალგაზრდა რეჟისორი გია ანთაძე, მწერალი ოტია იოსელიანი და მსახიობები. ოტია იოსელიანის ახალი პიესის „მთასვლელები“ რეპეტიცია მიმდინარეობს. პიესის დამდგმელი — რეჟისორი გია ანთაძე თეატრის ხელმძღვანელთან ამოწმებს თავისი ჩანაფიქრის ავკარგს. ოტია იოსელიანი პიესაში მთავარი როლის შემსრულებელს მერი ლომიძე-პაჭკორიას ეკამათება, მწერალსა და მსახიობს ჯერჯერობით სხვადასხვაგვარად ესმით პერსონაჟის ხასიათი, ბუნება. ვიდრე სპექტაკლი რამპის შუქს იხილავდეს, ალბათ, კიდევ ბევრი რამ დაიხვეწება.

რეპეტიცია დამთავრდა. გ. ლორთქიფანიძესთან მხატვარი ე. კოტლიაროვი შემოდის. მას თან მოაქვს ესკიზები სპექტაკლისათვის „კომედიის ხელოვნება“. მთავარი რეჟისორი კმაყოფილია. აქაც ბევრი რამ ზუსტდება, კონკრეტდება.

— ედუარდო დე ფილიპოს ჩინებული პიესის „კომედიის ხელოვნების“ დადგმა დიდი ხანია გვინდოდა. — გვეუბნება გ. ლორთქიფანიძე. ახლა ეს ნაწარმოები ჩვენი ახალი თეატრის ერთი პირველი სპექტაკლთაგანი იქნება. ვმუშაობთ აგერთვე როსტანის „სირანო დე ბერჟერაკზე“ და დრამატურგ რევაზ თაბუკაშვილის ახალ პიესაზე. ეს პიესა ასახავს ქართველ ტყვეთა აჯანყებას გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე. სეზონის გახსნას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო დღეებში ვაპირებთ. დრო არც ისე ბევრი დარჩა. ამიტომ დაძაბული ვმუშაობთ, გვინდა პირნათლად წარვსდგეთ მაყურებლის წინაშე.

გ. ბ.

„ოპერის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია მალხაზის არია. ეს არია, ისევე როგორც მალხაზის მთელი პარტია, ძალზე რთულია, მაგრამ მისმა შემსრულებელმა ნ. ქუმსიაშვილმა ბრწყინვალედ დასძლია. ქუმსიაშვილი მაღალ ლირიზმსა და ნამდვილ გამომსახველობას აღწევს“.

ასეთივე მაღალი შეფასება მისცა დედაქალაქის პრესამ ნ. ქუმსიაშვილის მიერ შესრულებულ აბესალომსა და სხვა როლებს.

ნიკო ქუმსიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე გულთბილი მოგონებებით გამოვიდნენ აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი, ხელ. დამსახ. მოღვაწეები: არჩილ ჩიმაკაძე, აკაკი ძიძიგური და თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ილო ბეჟანიშვილი. პოეტმა გიორგი გიგაურმა წაიკითხა ნ. ქუმსიაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

არ შეიძლება ფიქრობდე ნიკო ქუმსიაშვილზე და არ მოგაგონდეს დავით კასრაძის სიტყვები: „ნიკო ქუმსიაშვილი ის მომღერალი გახლდათ, რომელსაც ბედმა გაუღიმა მადლმოსილ ვანო სარაჯიშვილის შარავანდედის კაშკაშა ვარსკვლავად გამობრწყინებულიყო“.

ნიკო კევლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა პრესის ფურცლებიდან

„ა. ა. მარჯანოვს ჩემი ავადმყოფობის ამბავი გაეგო და სანახავად მოვიდა. კარგა ხანი იყო ერთმანეთი არ გვენახა. „პერ გიუნტის“ პრემიერის შემდეგ იგი სამხატვრო თეატრიდან წავიდა. მე მისთვის არაფერი მიკითხავს, რადგან გაზეთებიდან ვიცოდი, რომ წასვლამდე დიდი უსიამოვნო საუბარი ჰქონდა სამხატვრო თეატრის დირექციასთან. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მხიარული ჩანდა. დიდი გატაცებით ლაპარაკობდა თავისუფალ თეატრზე. გამომშვიდობებისას სრულიად მოულოდნელად მითხრა:

— ალისა, თუ მოინდომებთ თქვენი ძალები სცადოთ ჩემს თეატრში, ჩემთვის დიდად სასიხარულო იქნება“...

„ორი დღის შემდეგ დილით, მარჯანოვმა დამირეკა.

— ალისა, ურა! უკვე მივიღე შნიცლერის სამოქტიანი პანტომიმის პარტიტურა დონანის ღვთაებრივი მუსიკითურთ. შესანიშნავი ტრაგიკული როლია, — აღფრთოვანებული ჩამძახოდა ყურმილში, — თქვენს გარდა მოსკოვში არავინ მეგულება ისეთი,, ვისაც ამ როლის შესრულება შეუძლია“.

ამ ცნობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე იმავე წუთს მივუგე, რომ სამოქტიან პანტომიმაში თამაშის გამოცდილება არა მაქვს-მეთქი, მაგრამ მარჯანოვს არაფრის გაგონება არ სურდა და მეუბნებოდა:

— ალისა, გამიგეთ, მე გელაპარაკებით არა როგორც ვერაგი მაცდუნებელი, არამედ, როგორც რეჟისორი, რომელსაც სწამს თქვენი და გულით სიკეთეს გისურვებს. მოიფიქრეთ და გადაწყვიტეთ!“.

ეს ეპიზოდი ამოღებულია ცნობილი რუსი მსახიობი ქალის ალისა კოონენის მოგონებების წიგნიდან „ცხოვრების ფურცლები“, რომელიც აგერ უკვე მესამე წელია ჟურნალ „ტეატრში“ იბეჭდება. ჟურნალის 1967 წლის № 6-ში დაბეჭდილ ეპიზოდებში აღწერილია კოონენის შეხვედრები მარჯანიშვილთან, თავისუფალი თეატრის შექმნის სიხარული და მისი დახურვის სიმწარე.

* *
*

მიმდინარე წლის ჟურნალ „ტეატრის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია ნონა გუნიას წერილი „ირინა ჯანდიერი“. წერილში მიმოხილულია ამ ცნობილი მოცეკვავე ქალის შემოქმედებითი გზა.

* *
*

შარშან რუსთაველის სახელობის თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა მოსკოვში. ჟურნალი „ტეატრი“, ფართოდ იხმაურება ამ ფაქტს. მეოთხე ნომერში ჟურნალი ბეჭდავს რსფსრ სახალხო არტისტების ი. რაევსკის და ვ. პლუჩეკის, პროფესორ ი. დმიტრიევისა და რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ პ. მარკოვის მოსაზრებებს რუსთაველელთა სპექტაკლებზე. აქვე მოთავსებულია ფოტოსურათები რუსთაველელთა საგასტროლო სპექტაკლებიდან.

* *
*

ამ რამდენიმე თვის წინათ ქართველმა ხალხმა აღნიშნა სანდრო ახმეტელის დაბადების 80 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ჟურნალ „ტეატრის“ № 8-ში დაბეჭდილ ნათელა ურუშაძის სტატიაში — „სანდრო ახმეტელი“ მიმოხილულია გამოჩენილი ქართველი რეჟისორის შემოქმედებითი გზა. აქვე დაბეჭდილია სანდრო ახმეტელის რამდენიმე სპექტაკლის მაკეტის ფოტოსურათები.

ამავე ნომერში დაბეჭდილია ნ. კურკინას წერილი ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეზე, თეატრმცოდნე გუგული ბუხნიკაშვილზე, რომელსაც წელს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

* *
*

ცნობილი ქართველი თეატრალური მხატვრის იოსებ სუმბათაშვილის სახელი საკმაოდაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. მოსკოვის, ლენინგრადისა თუ ჩვენი სამშობლოსა და უცხოთის **სხვა ქალაქების** თეატრებში ი. სუმბათაშვილის მიერ მხატვრულად გაფორმებულ სპექტაკლებს ხშირად დიდი წარმატება ხვდომია წილად.

ამ ათიოდე წლის წინათ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ა. არბუზოვის პიესის „ირკუტსკის ისტორიის“ დადგმამ ვახტანგოვის **სახელობის თეატრში.** სპექტაკლი საყოველთაოდ გახმაურდა. ეს რეჟისორისა და, საერთოდ, თეატრის კოლექტივის გამარჯვება იყო. მაგრამ სპექტაკლის ყოველი შემფასებელი კრიტიკოსი საგანგებოდ გამოჰყოფდა ი. სუმბათაშვილის მხატვრობას, აქებდნენ მის დახვეწილ გემოვნებას.

ამას წინათ პრაღაში გაიმართა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნებისა და თეატრალური არქიტექტურის საერთაშორისო გამოფენა. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 17 ქვეყნის თეატრალური მხატვრების ნამუშევრები.

საერთაშორისო გამოფენის ოქროს მედალი მიენიჭა ი. სუმბათაშვილს ა. **ტოლსტოის** პიესის „ივანე მრისხანის სიკვდილის“ გაფორმებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

თეატრალური საზოგადოების გამგეობის მეორე პლენუმი 3

ა. დვალიშვილი — მზადება დიდი ზეიმისათვის 3

პლენუმის ტრიბუნიდან 9

საგასტროლო სპექტაკლების განხილვა 11

შემოქმედებითი აღმავლობის გზით 11

დ. ჩხეიძე — გზა დავულოცოთ 11

ე. ქარელიშვილი — სიტყვა, რომელიც განხილვაზე უნდა წარმომეთქვა 14

საკუთარი სახის ძიებაში 15

ნ. კევლიშვილი — ნახევარი საუკუნე ხალხის სამსახურში 17

თეატრალური ინსტიტუტის სიახლენი 18

განყოფილების პორტფელიდან 19

ნ. ქორელი — მცირე მოგონება დიდ კომპოზიტორზე 19

ვ. გიგოშვილი — მოლოდინს გადააჭარბა 21

რა გვახარებს და რა გვაწუხებს 22

ნ. ყვარელაშვილი — დიდი დანაკლისი 23

აქტიორის სახლი 24

ე. ქ. — ალექსანდრე სუმბათაშვილი 25

წ. კევლიშვილი — მიეძღვნა ნიკო ქუმსიაშვილის ხსოვნას 25

ჩვენი სტუმრები 28

საბჭოთა პრესის ფურცლებიდან 30

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Второй пленум Правления Театрального общества Грузии 3
А. Двалишвили — Подготовка к великому празднику 3
С трибуны пленума 9
Обсуждение гастрольных спектаклей 11
На пути творческого подъема 11
Д. Чхеидзе — Напутствуем 11
Ф. Карелишвили — речь, которую я должен был произнести 14
В поисках собственного лица 15
Н. Кевлишвили — Полвека на службе народа 17
Новости Театрального Института 18
Из портфеля отдела 19
М. Корели — Небольшое воспоминание о большом композиторе 19
И. Гигошвили — Превзошел ожидания 21
Что нас радует и что огорчает 22
М. Кварелашвили — Большая утрата 23
Дом актера 24
Е. К. — Александр Сумбаташвили 25
Н. Кевлишвили — Памяти Нико Кумсишвили 25
Наши гости 28
По страницам советской прессы 30

ТОГ
ВЕСТНИК
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)
Тбилиси—1967
№ 3 (41)

ფასი
Цена 18 კაპ.
коп.

გადაეცა წარმოებას 11|X 1967 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XI 1967 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,25

შ. 3801 უე 02323 ტ. 200

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3